

ଓଡ଼ିଆ  
ବ୍ୟାକ



No

3535  
6021

საქართველოს  
მთავრობის  
მინისტრის  
მიერ განკუთხული

სერგი გარელათია



# აკადემიუმი საქართველოში

სახელმწიფო

1927

სერგი გაკალათია

394.46



# ესართულის და სამარტინო

K 2.839  
2

„ხალხური დღესასწაულები ხალხის ცხოვრების ის მომენტია, როდესაც მისი სარწმუნოებრივი, ზნეობრივი და პოეტური იდეალები ხილულ სახეს იღებენ“.

(I. Burckhardt, Die Cultur der Renaissance in Italien., ვ. 124).

ს ა ხ ი ლ გ ა მ ი  
1927

სახელი	გვარი	ასაკი	სახელი	გვარი	ასაკი
სახელი	გვარი	ასაკი	სახელი	გვარი	ასაკი
3535.			6091.		

6.2.



სპეც-2000  
გეგმვაშედვის

სტამბა პოლიგრაფიკოლისა, აკაკი ჭერეთლის ქ. № 3.

მთავლიტი 1799

ტირაჟი 2.000

## წინასიტყვაობა

საქართველოში არსებულ წარმართულ ხასიათის დღესასწაულთა შორის, ასაღწელიწადს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და ამიტომ მისი წესების შესწავლას უაღრესი მნიშვნელობა აქვს ქართველთა სარწმუნოებრივი შემეცნების გამოსაპოლევად.

ქართველებს ამ მიმართულებით მეტი მუშაობა გვმართებს, მით უმეტეს, რომ ჩვენ წინაპრებს თავიანთ მემკვიდრეებისათვის არც „რიგვედა“, არც „გმ-სტა“, არც „ბიბლია“ და არც სხვა საღმრთო წერილები არ დაუტოვებიათ, რომ მათი შესწავლით შეიძლებოდეს ქართველთა წარმართულ რწმენის და შემეცნების გარკვევა.

ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ ხალხის ზნეჩვეულებების და რიტუალური წესების შესწავლას მნიშვნელობა აქვს არა მარტო ამა თუ იმ ერის რწმენის შესასწავლად, არამედ მისი წარსულის ხოციალ-მარნომიური მდგომარეობის გამოსაპოლევადაც.

ჩვენ თუ გვხურს შევისწავლოთ ერის ნამდვილი იხტორია, უნდა შევისწავლოთ არა მარტო მისი მატიანები და ნივთიერი ძეგლები, არამედ ამასთანავე შისი სარწმუნოებაც, რომელშიაც დალექილია ამა თუ იმ ერის პრიმიტიული აზროვნების და მსოფლმხედველობის განვითარების მრავალი ნაშთები.



ჩვენი ეს პატარა მონაგრაფიული გამოკვლევაც  
სწორედ ამგვარ მიზანს ისახავს, რომ ახალწლის რი-  
ტუალის შესწავლით გამორკვეული იყოს ამ დღესახ-  
წაულის წარმართელ რწმენის და მასთან დაკავშირე-  
ბული ზოგიერთი სოციალურ-ყოფის დამახასიათე-  
ბული მხარეები.

## ახალწელიწადი საქართველოში

ახალწელიწადს კულტუროსანი კაცობრიობა დღესაც დიდის ზეიმით ეგებება.

ახალწლით იწყება ახალი წელთაღრიცხვა და იფურცლება კაცობრიობის ისტორიის ახალი გვერდი, ამიტომ ამ დღესასწაულის რიტუალი ყოველ ერს უძველეს დროიდან აქვს შემუშავებული და შეთვისებული.

ხალხის რწმენით ახალწლის მხიარულათ და უშთოთველათ გატარება წინდია დამდევ წელს ბედნიერად ყოფნისა. ახალ წელთან დაკავშირებულია აგრეთვე ხალხური სხვადასხვა თქმულებები და მომავალზე წინასწარმეტყველებანი.

ახალწელიწადი საქართველოშიაც განსაკუთრებული ხასიათის დღესასწაულია, რომელსაც ქართველი ხალხი მუდამ ზეიმით ეგებებოდა და დღესაც მას არაჩვეულებრივი აღფრთოვანებით დღესასწაულობს.

ამასთანავე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალწელიწადს საქართველოს თეითეული კუთხე და წოდებაც თავისებურად ეგებებოდა, მაგრამ სანამ ჩეენ ამის განხილვას შეუდგებოდეთ საჭიროა გარკვეული იყოს თუ რომელ თვე და რიცხვში ეგებებოდენ ახალწელიწადს ქართველები.

წლისთავის დასაწყისად საქართველოში, როგორც საზოგადოდ ცველგან, სარწმუნოებრივ შემეცნებათა ცვალებადობასთან დაკავშირებით, სხვადასხვა დრო და რიცხვი იყო მიღებული. მაგალითად, წარმართულ დასავლეთში წლისთავი დაკავშირებული იყო მზის ლვთაების მოძრაობის

განწესდა. ეს წელთაღრიცხვა, ითანებ ზოსიმეს მიერ შედგენილ კალენდრის მიხედვით, საქართველოშიაც მე-X საუკუნიდან შემოღებული ყოფილა<sup>1</sup>.

ერთი სიტყვით, XI საუკუნიდან ჩვენში მიღებული იყო ორგვარი წელთაღრიცხვა, პირველი სექტემბერი და პირველი იანვარი. ერთი მათგანი განწესებული იყო საეკლესიო წელთაღრიცხვის და მეორე სამოქალაქოსათვის. მხოლოდ მე-XVII საუკუნიდან რუსეთის ეკლესიის ზეგავლენით სამოქალაქო და საეკლესიო წელთაღრიცხვის დასაწყისად ჩვენში პირველი იანვარი წესდება.

ძველ საქართველოში, როგორც საზოგადოდ ყველა წარმართულ ქვეყნებში, ახალწლის დღესასწაული დაკავშირებული იყო მხის ღვთაებასთან, ამიტომ მისი შესაფერი რიტუალიც იყო შემუშავებული. მხოლოდ ქრისტიანობის გავრცელებისას წლისთავი წმ. ვასილი დიდის ხსოვნას დაუკავშირეს და ამიტომ საჭირო შეიქმნა ამ დღის წარმართული წესების გადმოქრისტიანება, მაგრამ ეკლესიამ ეს დღემდე სავსებით ვერ შესძლო, განსაკუთრებით ჩვენში, სადაც ამ დღესასწაულს სახე მოჩვენებით გაუქრისტიანდა, მაგრამ სული წარმართული შერჩა, რომლის უტყუარი საბუთი ქართული ახალწლის რიტუალია

ამასთანავე ჩვენ იძულებული ვართ თავდაპირველად შეუდგეთ საქართველოს სამეფო კარის ახალწლის წესების აღწერას, რადგანაც ქართულ მატიანებებში არ მოიპოვება ცნობები თუ როგორ ეგებებოდა ამ დღესასწაულს თვით ქართველი მდაბირი ხალხი.

როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, ქართულ ახალწლის შეხვედრის წესები დაკავშირებული უნდა ყოფილიყო არ-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. წ. IV. ტფილისი, 1921 წ. 83. 7.

მაზობასთან, რომელიც ყოველ ზაფხულს, უმთავრეს ღვთაების, მზის კერპი — არმაზის თაყვანის საცემად იმართებოდა მეფე-დიდებულთა ხელმძღვანელობით.<sup>1</sup>

საქართველოს სამეფო კარის ახალწლის მიგებების შესახებ პირდაპირი ცნობები მოიპოვება . კელმწითის კარის გარიგება“ - ში<sup>2</sup>.

ეს ფრიად საყურადღებო ძეგლი მე-XIV საუკ. პირველ ნახევარს ეკუთვნის და ქართულ სახელმწიფო წესწყობილების საინტერესო ცნობების შემცველია. მაგრამ მასშიაც საწელიშიდისთავოს აღწერას სამწუხაროთ თავი და ბოლო აკლია. და ისიც, რასაც ჩვენამდე მოულწევია მეტად არეულია.

როგორც კელმწითის კარის გარიგების შინაარსიდან ირკვევა, საქართველოს სამეფო კარზე წლისთავის მიგებების წესები მტკიცედ შემუშავებული ყოფილა. ამ დღის შესახევედრად მეფის სასახლის ხელისუფალნი, თავიანთ სახელოს მიხედვით, მეფეს და მის სახლეულს ერთი კვირით წინ ამზადებდენ. მსახურთ-უხუცესი მოლარეთ-უხუცესისაგან მოიღებდა ძვირფას საფენებს და მეფეს სადაბაზო ოთახს მოუფენდა ~~მონადირეთ-უხუცესი~~ მეფეს შემოსავდა ძვირფას ტანისამოსით: „მას წელიშიდის თავს დღეს მეფე არავის[გან] შე[ი]მოსს ამისგან კიდე, რომე მონადირეთ-უხუცესი ყვთლით ყაბარჩით შეიმოსების, საკელ-მოკლით, ტყავიანითა მოყვენთუსლითა, არა დია პრტყელად, თავსა და საყელოსა კარგისა ყვნდიზისა და

<sup>1</sup> ვახუშტი, საქართველოს ისტორია, ტფილისი. 1885 წ. გვერდი 14.

<sup>2</sup> ექვ. თაყაიშვილი, კელმწითის კარის გარიგება. სახელმწუნივერ. გამოცემა, ტფილისი 1920 წ.

მაღლად აშვერილსა, მჭლოდ შეკერულსა ქუდსა დაარქვამს“<sup>1</sup>.

ამგვარად მორთულ-მოკაზმულ მეფეს მაღალ სკამზე დასვამდენ, საახალწლო ტაბლას, შუაზე ველურ ტახის თავით, წინ დაუდგამდენ, ხელისუფალნი, თავიანთ სახელოს მიხედვით, მეფის გარშემო ზოგნი დგებოდენ და ზოგნი სხდებოდენ: „მკერვალთ-უხუცესი და ტყისმცველ[ნ]ი დასხდებიან. და მეხელადეთ-უხუცეს[ნ]ი დგანან-“<sup>2</sup>.

პირველად მეფეს, ცისკრის ლოცვის დაწყებამდე, ვაზირთა შორის უპირველესი მწიგნობართ-უხუცესი უკვლევდა ჯვრით, ხატით და ძვირფას ნივთების მირთმევით. და მათ ტკბილეულით „დააბერებდა“.

იმავე დღეს წირვის შემდეგ დაიწყებოდა საახალწლო მილოცვები: ერისთავთა, ვაზირთა, დარბაზის ერთა და სხვა ხელისუფალთა უფროს-უმცროსობით.

ყოველი მიმღოცველი მიართმევდა მეფეს მის სახელოს დამახასიათებელ საუკეთესო ძლვენს.

პირველად, მეფეს ბაზიერთ-უხუცესი ულოცავდა ქორ-შავარდნით და ველურ ტახის მოოქრული თავის მირთმევით. შემდეგ მეჯინიბეთ-უხუცესი, შეკაზმულ ცხენს ოქროვერცხლით შემკობილს. მიირ-სპასალარს ძლვნად მეფისათვის უნდა მიერთმია—ბურთი, ჩოგანი, ცხენი უკეთესი მოილოს საგანმგებოსა<sup>3</sup>. დადიანს საწელისწდისთავო ძლვნად მართებდა: „სამი ცხენი, ორი უკეთესი და ერთი სატალახე<sup>4</sup>“. საქვეყნოდ გამრიგე ხელისუფალთა შორის, ერის-

<sup>1</sup> კვლმწიფის კარის გარიგება, 1.

<sup>2</sup> იქვე, 1.

<sup>3</sup> იქვე, 15<sub>28</sub>.

<sup>4</sup> იქვე, 15<sub>28</sub>.

თავნი ულოცავდენ მეფეს „არა კეთილთა ცხენის მირთ-მევით“ ე. ი. ულოცავდენ გამხდარ და ჯაგლაგა ცხენებს. დანარჩენ ხელისუფალთა მირთმეულ ძღვნის შესახებ პირ-დაპირი ცნობები არ მოიპოვება, ნათქვამია მხოლოდ: „და სხვანი ოფიკალნი თავის-თვისთა შესატყვისა“-ო<sup>1</sup>.

გარდა ამისა, ზემოხსენებული მომლოცველნი მიართმევ-დენ მეფეს ისარს (ძველად) ანუ ტყვიას (შემდეგ) და წყევ-ლა-კრულებით მოიხსენიებდენ მეფის მტრებს, შემდეგი სიტ-ყვებით: „მრავალ უამიერ ჰყოს ღმერთმან მეფობა თქვენი და ისარი ესე ანუ ტყვია განერთხას მეფობისა თქვენისა ორგულთა-ო“<sup>2</sup>.

დიდ ხელისუფალთა შემდეგ მეფეს ახალწელიშადს ულოცავდენ სრულიად დარბაზის ერნი და დიდებულნი. ბოლოს სპანი და ლაშქარნი. დარბაზობას მოყვებოდა დიდი პურობა „დიდითა განცხრომითა და სახიობითა“, სადაც მიწვეულ იყვნენ სამეფოს საუკეთესო მომლერალნი, დამკვრელნი და მოცეკვავნი. იმართებოდა მოშაირეთა შეჯიბრება, ფალავანთა ჭიდაობა და საბელზე თამაშობა. ამ გასართობებით თავდებოდა ახალწლის პირვე-ლი დღე.

მეორე დღე განკუთვნილი იყო ნაღირობისათვის. ძველ საქართველოში ლაშქრობა-ნაღირობას დიდი სახელმწი-ორებრივი ცნიშვნელობა ჰქონდა, რასაც თვით ახალწლის შეხვედრის წესები მოწმობენ, სადაც მონაღირეთ-უხუცესს და მის სახელოს უპირველესი ადგილი უკავია. ამ დღის ნაღირობას სავაუკაცო ასპარეზობისა და გართობის გარ-და, სამეცვლეო ხასიათიც ჰქონდა, რომელთანაც დაკავში-რებული იყო დამდეგ წლის ყოველგვარი ბენიერება.

<sup>1</sup> ვარუშტი, op. cit., გვ. 14.

<sup>2</sup> op. cit., გვ. 14.

ახალწლის მეორე დღეს, მეფე უფლისწულთა და დიდებულთა თანხლებით ნადირობდა გარეულ ცხოველებზე. ნადირობის მოწყობა დავალებული ჰქონდა ბაზიერთუხუცესს, რომელიც ერისთავთა მორთმეულ „არა კეთილცხენებს“ დაახოცინებდა და წინა დღით სანადირო მინდორზე დაპყრიდენ, რომელიც შემოლობილი იყო და მეფის სასახლესთან ახლო მდებარეობდა.]

რომ ლეშის სუნზე მავნე ნადირები სანადიროში შემოსულიყვნენ, ლობის კარს ლიას სტოვებდენ.

დილა ადრიან, სანადიროს მცველი კარებს ჩუმად მიხურავდა და იქ მყოფ ნადირებს შიგვე მოამწყვდევდა.

იმავე დღეს მეფე დიდებულთა თანხლებით სანადირო მინდორზე გაემგზავრებოდა. მათ მისვლისას, სანადიროს კარს გააღებდენ და დამწყვდეული ნადირები გარედ გამოცვივოდენ. ამ დროს შეიქმნებოდა ისრების სროლა და ნადირთა ხოცვა.

რადგანაც ამ ნადირობის სიმბოლიური ხასიათი ჰქონდა და ნადირის სახით მათ თავიანთი მტრები ჰყავდათ წარმოდგენილი, ამიტომ ყველანი სცდილობდენ ნიშანი არ ასცდენოდათ და მეტი ნადირი დაეხოცათ. ნადირობის შემდეგ სიმღერით და შოლხენით მეფე-დიდებულებით უკანვე ბრუნდებოდა: „ესე იკვლევდიან და შემოვიდიან მხიარულნი სანადიმოდ“<sup>1</sup>.

ამგვარად ატარებდეს ახალწლის პირველ ორ დღეს სამეფო კარზე.

ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით, თუ რამდენი დღე გრძელდებოდა საახალწლო დღესასწაული სამეფო კარზე, ვიცით მხოლოდ, რომ მას მოყვებოდა სახელმწიფოს საანგარიშო დავთრების გასინჯვა და შემოწმება.

<sup>1</sup> ვახუშტი. op. cit., გვ. 14.

მეფის დავალებით, ამგვარი რევიზია მწიგნობართ-უნი-  
ცესს ჰქონდა მინდობილი, რომელიც თავის თანაშემწის,  
საწოლის მწიგნობრის, თანხლებით სავაზიროთა სალარო-  
ებს დაუვლიდა, სინჯავდა საანგარიშო დავთრებს და სის-  
წორით წარმოებულ საბუთებს დაბეჭდვით ამტკიცებდა.

ამის შესახებ მეფის კარის გარიგებაში ნათქვამია: „ამი-  
ლახორი, მეაბჯრეთ-უხუცესი, ზარდახნის-უხუცესი და მწი-  
გნობარი წელიწადსა შიგან ერთხელ ზარდახან[ს] შევლენ, და  
ზარდახნის მწიგნობარი დასწერს, ანგარიშს იქმენ, და სა-  
ანგარიშოს გოდორსა შიგან ჩასდებსო“<sup>1</sup>. სხვა სავაზირო-  
თა შესახებ ამგვარი პირდაპირი ცნობები არ მოიპოვება,  
ერთი მოკლე ნაწყვეტის გარდა, რომელიც სამეფოს სა-  
ლვინეს ეხება: „ანგარიში საანგარიშოთა გოდორთა შინა  
ძეს“-ო<sup>2</sup>. მაგრამ ჩვენ მაინც შეგვიძლია ვითიქროთ, რომ  
საწოლის, საჭურჭლის და სხვათა სავაზიროთა მწიგნო-  
ბარნიც ყოველწლიურად ამგვარ ანგარიშებს აღგენდენ  
და სახელმწიფოს „საანგარიშო გოდორში“ ინახავდენ.

ამას გარდა, სახელმწიფოს პასუხისმგებელი მოხელენი,  
როგორც, მაგალითად, მწიგნობარნი, საქმის ბეჯით და  
კანონიერ წარმოებისათვის სახელმწიფო სალაროდან სა-  
ახალწლო ჯილდოსაც იღებდენ: „ზარდახნის მწიგნობარმა  
ყოველი რამ ასწეროს, წლის თავსა ერთი უნაგირი ზარ-  
დახნის მწიგნობრისა, ერთი აქმაზულობა აღუვსებად.“-ო<sup>3</sup>  
და სხვა.

ჩვენ მოგვეპოვება აგრეთვე მცირე ცნობები საქართ-  
ველოს ზოგიერთ სამთავროს კარზე არსებულ ახალწლის  
შეხვედრის წესების შესახებ. მაგალითად, სამეგრელოს

<sup>1</sup> კარის გარიგება, 9<sub>18</sub>.

<sup>2</sup> იქევ, 11<sub>20</sub>.

<sup>3</sup> იქევ, 10<sub>18</sub>.

მთავარი ამ დღესასწაულს არაჩეცულებრივი ზეიმით ეგე-  
ბებოდა, რომელშიაც მონაწილეობას იღებდენ მაღალ მო-  
ხელეთა და ხელოსანთა წარმომადგენელნი მათვის დამა-  
ხასიათებელ ძლვნების მირთმევით.

ახალწლის მომლოცვავი პროცესია „კირიელეისონის“  
გალობით მიემართებოდა მთავრის სასახლისაკენ და შე-  
სვლისთანავე ერთი მათგანი ალაყაფის კარებს სუროთი  
შეამჟღადდა. პროცესის საჩუქრებით მთავარი მიიღებდა  
და დაიწყებოდა მილოცვები. მირთმეულ ძლვნებს მთავა-  
რი და დიოფალი ხელის შეხებით სინჯავდენ.<sup>1</sup>

ამგვარივე საახალწლო წესები მიღებული ყოფილა  
გურიელის სამთავროს კარზედაც, სადაც, სხვათა შორის,  
მოძღვართ-უხუცესი კარებს თურმე სამჯერ დააკაკუნებ-  
და შემდეგი სიტყვებით: „კარ გამიღე“-ო! ამაზე გური-  
ელი სამჯერვე უპასუხებდა „რა მოგაქვს“-ო? და ამას  
მოყვებოდა ყველა სანატრელ სურვილების და ნივთიერი  
საგნების ჩამოთვლა<sup>2</sup>. შემდეგ გურიელი კარს უღებდა მომ-  
ლოცვა პროცესის, რომელსაც წინ მოუძღოდა „ჩიჩილა-  
კი“<sup>3</sup>. მას მოჰყვებოდა ძლვნით დატვირთული ლანგარდები,

<sup>1.</sup> არქანჯელო ლამბერტი, სამეცნიელოს აღწერა, ა. ჭყო-  
ნიას თარგმანი, ტფილ. 1901 წ. გვ. 143-144.

<sup>2.</sup> გაზეთი „Кавказ“ 1870 წ. № 20.

<sup>3.</sup> ჩიჩილაკს თხილის ან ძერვის წის ჯოზისაგან აკეთებენ, რომელ-  
საც გარშემო წვრილი და დახუჭუჭებული ნათალი აქვს შემოვლე-  
ბული. ზედ გაყრილია ჯვარედინი ჯოზი, რომლის ოთხივე წვეტზე  
სხვადასხვა ხილს უკეთებენ და ანთებულ სანთელსაც აკრავენ. ჩიჩი-  
ლაკს ამყობენ: კაკლიან სუროს, წითელ ნაყოფიან კურკანტელის,  
კუკუროიან თხილის და დაფნის ტოტებით. აგრეთვე სხვადასხვა  
ტკბილეულით, აბრეშუმის ძაფებით, ოქრო-ვერცხლის ნივთებით და  
სხვა.

რომლებზედაც ელაგა: ლორის თავი, პურები, ლომი, სი-  
მინდი, ლეინო და სხვა სანოვავე თუ ტკბილეული. ამას-  
თანავე ერთ ერთს ვერცხლის სინზე თავად გურიელის  
ძველებური ძვირფასი ნივთები ელაგა, რომლებსაც ყვე-  
ლანი ხელის შეხებით სინჯავდენ. მეძლვენეთა პროცესია  
სასახლეს სამჯერ შემოუველიდა და ისევ გარეთ გადიოდა.  
ამ დროს იმართებოდა თოფების სროლა, საახალწლო  
იმპერები და სხვა.

**ქ**აგრამ ახალწლის დღესასწაულის რიტუალის გამო-  
საკვლევად უმთავრესი მნიშვნელობა ხალხური ახალწლის  
წესების შესწავლას აქვს, რომლებშიაც ქართველთა სარ-  
წმუნოებრივ განცდათა მრავალი ნაშთებია დალექილი **აპი-**  
**ტომ ჩვენ აქ მას უფრო ფართედ განვიხილავთ.**

ხალხურ ახალწლის მიგებების წესების შესასწავლად  
საკმაო მასალები მოიპოვება ქართულ-რუსულ პერიოდულ  
გამოცემებში, მაგრამ მის შესწავლის დაუშრეტელ წყაროს  
მაინც ქართველ ხალხის ის რიტუალური წესები წარმოად-  
გენენ, რომლებსაც ის დღესაც ცოცხლად ატარებს და  
ყოველ წლისთავზე ანსახიერებს.

ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ აქ არ შეუდ-  
გებით ახალწლის შეხვედრის ყველა წესების ოლწერას, რაც  
მეტად შორს წაგვიყვანდა. არამედ ამ მხრივ საქართვე-  
ლოს მოსახლეობას ჩვენ ვყოფთ ორ დიდ ეთნოგრაფიულ-  
გეოგრაფიულ ერთეულად. პირველ ერთეულის შესასწავ-  
ლად ჩვენ ვიღებთ დასავლეთ საქართველოს ისტორიულ  
კუთხეს გურია-სამეგრელოს და ჩათ „კალანდა“-ს, მეო-  
რესათვის აღმოსავლეთ საქართველოს შუა და ისტორიულ  
კუთხე—ქართლს თავის „აბრამიანი“-თ. მაგრამ ქართულ  
ახალწლის რიტუალობის მთლიანობისათვის ჩვენ მას შე-



ვავსებთ აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა კუთხებში დღემდე დაცულ თავისებურ და განსხვავებულ წესებით.

ხალხური ახალწლის მიგებების რიტუალის შესახებ ის-ტორიული ცნობები სამწუხაროდ მეტად მცირეა. არ კან-ჯელო ლამბარტის ცნობით, სამეგრელოს მდაბიო ხალხი ახალწელიწადს ისევე ეგებებოდა თურქე, როგორც თვით მთავარი და თუ ხალხს ამ დღისთვის არა მოეპოვებოდა რა, სუროს ტოტებით მაინც შეამჭობდა თავის სახლ-კარს.<sup>1</sup>

სწორეთ გაუგებარია, რომ ლამბერტის ასეთი მოკლე და უსრულო ცნობები შეუტანია ხალხურ ახალწლის შესახებ თავის სამეგრელოს ზნე-ჩვეულებათა აღწერაში. ის სრულიად არ იხსენიებს საახალწლო „ჩიჩილაკს“ არც „ბასილას“ და არც ლორის თავს, რომლითაც ხასიათდება დასავლეთ საქართველოს „კალანდა“.

ჩვენ ქვემოდ დავინახავთ, რომ თანამედროვე სამეგრელოს ახალწლის წესები, ლამბერტის ცნობებთან შედარებით, უფრო მრავალფეროვანი და წირმართულ წესების შემცველია.

გურია-სამეგრელოში ახალწლის პირველ დღეს „კალანდა“<sup>2</sup> ეწოდება და მას თოფების სროლით ეგებებიან.

სამეგრელოში, ახალწლის დილა ადრიან, ოჯახის უხუცესი მამაკაცი ხელში მორთულ ჩიჩილაკით და ლომის მარცვლიან ჯამით, რომელზედაც კვერცხი დევს, სახლიდან გარეთ გადის ახალწლის მოსალოცავათ.

პირველათ, მარცვლის თესვით, ის ეზოს სამჯერ შემოუვლის, შემდეგი სიტყვებით: „ლმერთო, ამ მარცვლების

<sup>1</sup> ა. ლამბარტი, op. cit., გვ. 145.

<sup>2</sup> სიტყვა „კალანდა“ რომაულია და ეწოდება თვის პირველ რიცხვს, აქედან წარმოსდგა წლის აღმრიცხვი კალენდარი.

რაოდენობის საქონელი მომანიჭეო". შემდეგ ბოსელს, საქათმეს და სხვა სადგომებს უკვლევს. ბოლოს ის სახლში ბრუნდება და სამჯერ კარების დაკაკუნებით დაიძახებს: „კარ გამიღეო". თეთრებში გამოწყობილი დიასახლისი უპასუხებს, ვინა ხარ? და რა მოგაქვსო? მეკვლე სამჯერვე უპასუხებს: „წმიდა ბასილის წყალობა, ოჯახის მშეიდობა, ოქრო, ვერცხლი, პირუტყვის გამრავლება, აბრეშუმის ჭიის ყოფა და სხვა<sup>1</sup>.

შემდეგ დიასახლისი მას კარებს გაულებს და სიცილით გადაჰკოცნის. მეკვლე სიმბოლიურ თესვით და ლოცვით სახლის ყველა ოთახებს შემოუვლის.

დასასრულს მეკვლე ჩიჩილაქს კუთხეში მიაყუდებს, ჯამს იქვე მიუდგამს და თვითონ საახალწლო ტაბლას მიუჯდება, რომელზედაც ალაგია: ლორის თავი, ბასილა თავის ხაჭაპურებით, ხილი და სხვა. საუზმის დაწყებამდე მეკვლე ოჯახის ყველა წევრს ტკბილეულით „დააბერებს". საუზმის შემდეგ კი დაიწყება ხელში თუთის წქნელებით საახალწლო მილოცვები.

ამავე დღის დილიდანვე დაიწყება მეძლვნეთა მილება-გაგზავნა. ძლვნებს განსაკუთრებით ნათლიებს უგზავნიან.

ამგვარია მოკლედ დღევანდელ სამეგრელოში ამ დღე-სასწაულის მიგებების წესები, მაგრამ ჩვენ ამასთანავე აქ მოვიყვანთ მეგრულ კალანდის უფრო ძველ წესების აღწერილობას.

ახალწლის ორი კვირით წინ მეგრელები საჩიჩილაკოთ ტყეში თხილის ჯოხს სჭრიდენ და წყალში ალბობდნენ. ახალწლის წინა ღამით ჩიჩილაქის ჯოხს ზედ კერის ცეცხლ-

<sup>1</sup> ალსანიშნავია, რომ ამ სიტყვებს მეგრელი მეკვლე (სენაკ. მახრაში) კართულათ წარმოსთვევამს.



ზედ ატრიალებდნენ, რომ მისმა ქერქმა ცეცხლის ალი-საგან ტკაცი-ტკუცი დაიწყოს, შემდეგ ზედა კანს გააც-ლიდენ და ჩიჩილაკს თლას დაუწყებდენ. გრძელ თეთრ წვერიან ჩიჩილაკს ჩვეულებისამებრ რთავდენ ძვირფას სამკაულებით, ტკბილეულით და ხილეულით<sup>1</sup>.

ჩიჩილაკას მორთვის შემდეგ სახლის ჭერიდან კაკლებს ჩამოიღებდენ და წმიდანების სახელზე სათითაოდ სტებ-დენ, თუ რომელიმე ფუჭი აღმოჩნდებოდა, იმავე წმი-დანს ეხვეწებოდნენ, რომ მათი ოჯახი ყოველგვარ ფათე-რაკისაგან დაეცვა. ამგვარივე წესით კაკალს სტებდენ ოჯახის თვითეულ წევრთათვის და იმის მიხედვით მათ მომავალზე წინასწარმეტყველებდენ.

ახალწლის ღამეს ოჯახის უფროსი მორთულ ჩიჩილა-კით და საახალწლო ხონჩით სახლიდან გადიოდა და სხვა სადგომში წვებოდა.

რიერაჟზე ის სდგებოდა და წყაროზე მივიდოდა, ჯერ ხელ-პირს დაიბანდა, შემდეგ ჩხვერიან<sup>2</sup> მუჭას წყალში ჩაყოფდა და ამოლებისას წინასწარმეტყველებდა. თუ ის მშრალი აღმოჩნდებოდა გვალვა იქნებოდა, თუ სველი—ნოტიო.

**წყაროდან მეკვლე დოქით წყალს წამოიღებდა, თავის სადგომში შევიდოდა, აიღებდა ჩიჩილაკს, ხონჩას და თა-ვის ოჯახისაკენ გაემართებოდა,** რომ მათთვის ეხარებია ახალწლის გათენება. მისვლისთანავე მეკვლე კარებს სამ-ჯერ დააკაკუნებდა და ჩვეულებრივი კითხვა-პასუხის შემ-

<sup>1</sup> ხილთა შორის ჩიჩილაკს შეიძლებოდა ვაშლი, ან მსხალი კლე-ბოდა, მაგრამ უბროწეულოდ შეუძლებელი იყო.

<sup>2</sup> ჩხვერი ან ლომი (mil d' Italie) ფეტვის ჯიშის წვრილ მარცლო-განი კირნახულია, რომელიც სიმინდის შემოსვლამდე სამეგრელოში ხალხის მთავარ საკვებ პურეულს შეადგენდა.

დეგ დიასახლისი მას კარებს ულებდა. მექვლე ფეტვის მოყრით და წყლის მონამით სახლს ლოცვით დაუვლიდა, შემდეგ ბოსელზე და სხვა საღვრმებზე გადადიოდა. საუზმის დროს მექვლე სდგებოდა, ფეხთ გაიხდიდა და ეზოში ძღვარ ბროწეულის ხისაკენ გაემართებოდა, და ხელში ჭიქა ლვინით მას ახალწელიწადს ულოცვედა. შემდეგ დაიწყებოდა ერთმანეთის მილოცვები ხელში ბროწეულით, ან თუთის, თხილის და სუროს ტოტებით<sup>1</sup>.

ახალწელიწადს გურიაში მამლის ყივილზე მთელი ოჯაზი ფეხზე სდგება. მამაკაცები ლორის თავს, ბასილას, საახალწლო გობს სანოვაგით დატვირთულს, მორთულ ჩიჩილაკს და ცარიელ ჩაფს იღებენ და მარნისაკენ გაეშურებიან.

მარანში შესვლისას ოჯახის უფროსი ხმა ამოულებლივ საახალწლო გობს მიწაზე სდგამს, ჩაფს ლვინით გაავსებს და დაჩოქილი წმ. ბასილს ოჯახის ბედნიერებას შესთხოვს. შემდეგ მექვლე გობიდან კაკალს იღებს და წმ. ბასილს ეხვეწება, რომ ამ კაკალივით მისი ოჯახი ყოველგვარ სიკეთით აავსოს. და თუ გატეხვის შემდეგ კაკალი ცარიელი აღმოჩნდა, რაც მისი რწმენით უბედურების მომასწავებელია, ის ხელმეორეთ ეხვეწება წმ. ბასილს, რომ მისი ოჯახი ცარიელ კაკალს არ დაამსგავსოს.

ამის დასასრულს პროცესია საღვრმ სახლისაკენ გაემართება და მექვლე კარებს სამჯერ დააკაკუნებს შემრეგი სიტყვებით: „კარი გამიღე!“ სახლიდან სამჯერვე უპასუხებენ: „რა მოგაქვს?“ ამაზე მექვლე უპასუხებს მთელი რიგი სანატრელ საგნების ჩამოთვლით და, სხვათა შორის,

<sup>1</sup>-თ. საზოგია, ახალწელიწადი. სამეგრელოში, უურ. „მოამბე“ 1897 წ. № 1. გვ. 91.



იტყვის: „მომყავს ოსმალეთის ფაშა, სპარსეთის შაჰი და  
მათი სიმღიდრით დატვირთული ჯორები“<sup>1</sup>-ო<sup>2</sup>

შემდეგ კარებს ულებენ და იწყება საახალწლო მიღო-  
ცვები. თავდაპირველად ახალწელიწადს, ხელში ცხემლის  
ნაფოტით, ოჯახის კერას ულოცავენ. ნაფოტს კერაზე  
აგდებენ და თან ამბობენ; „ცეცხლო, ღმერთმა მრავალი  
კალანდა მშვიდობით გაგითენოს შენი ბატონიანათ“-ო.

მერმე ულოცავენ შინაურ საქონელს: „ღმერთმა მრა-  
ვალი კალანდა მშვიდობით გაგითენოს შენი ბატონიანა“-ო  
და სხვა<sup>3</sup>.

ამასთანავე ჩვენ აქ მოვიყვანთ გურულ კალანდის უფ-  
რო ძველ აღწერილობას.

ახალწლის ღამეს გურიაში მამლის ყივილისას ყოველ-  
გან თურმე ხმა გაისმოდა „ბასილა მოდის“ აიშალენითო.  
ყველანი სდგებოდენ და ანთებულ სანთლებით სახლს სამ-  
ჯერ უვლიდენ, შემდეგ სახლის კარებს სამჯერ დააკუ-  
ნებდენ „კარი გამიღე“, დიასახლისი კარს გაულებდა.

პირველად ძვირფასათ ჩაცმული ადამიანი შემოდიოდა  
ხელში ლანგარდით, რომელზედაც ეწყო: პური, წმ. ბასი-  
ლის გამოქანდაკებული სახე, ლორის თავი, ძვირფასი ნივ-  
თები და ხილული. შემდეგ, მეორე შემოდიოდა ხელში  
„ჩიჩილაკით“, მესამე ლვინით, მეოთხე მარცვლეულით და  
სხვა.

ყველა იქ მყოფნი რიგ-რიგობით მათთან მიღიოდენ,  
ულოცავდენ ახალწელიწადს და ხელის შეხებით საგნებს  
სინჯავდენ, გამობრუნებისას სათითაოდ ცეცხლში ნაფოტს  
აგდებდენ<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ცელ ი. გაზ. „თემი“ 1912 წ. № 1.

<sup>2</sup> Т. Мамаладзе, Сб. мат. т. XVII, отд. II ვვ. 29—34.

<sup>3</sup> Накашидзе. Новый год Гуриицев, „Кавказ“. 1848. № 27.

გარდა ამისა, გურიაში გავრცელებული ყოფილა შემდეგი ჩვეულებაც: ახალწლის გათენებისას კერაზე დიდ ცეცხლს დაანთებდენ და ოჯახის ყველა წევრნი ზედ ხტებოდენ. შემდეგ ოჯახის უხუცესი ჩიჩილაკს აიღებდა და ახალწლის მოსალოცავად გარეთ გადიოდა<sup>1</sup>.

იძავე დღეს, სალამო ქამს, გურული მექვლე საახალწლო გობით ისევ მარანში შედის და იქ ვაზის ნაყოფიერებაზე ლოცულობს. ბოლოს გობიდან ლორის თავს აიღებს საწნახელს სამჯერ მიარტყამს და თან ჰყვირის: „აგუნა, აგუნა, მიეც ჩვენ სამშობლოს ღვინო და სხვებს ფურცელი<sup>2</sup>-“ო.

საინტერესოა აგრეთვე სვანეთში დაცული ზოგიერთი საახალწლო ჩვეულებებიც.

 ახალწლის ლამეს სვანები სხვა და სხვა სანოვაგეს გიდელში ჩაალაგებენ და სახლის გასავალ კარებზე ჩამოჰყიდებენ, რომ მექვლეს მზად დახვდეს; როგორც ირაერა-ჟებს ოჯახის უფროსი მამაკაცი სდგება, სულის დაუბერავად კერაზე ცეცხლს დაანთებს, შემდეგ გაალეიძებს მწყაზარ დედაკაცს და ოჯახში ყველაზე კეთილ ყმაწვილს. მამაკაცი ერთს დიდ ტანიან ხარს ახსნის, რქებზე თოკს მოაბამს და სახლიდან გარეთ გაიყვანს, ამას მისდევენ ბავშვი და დედაკაცი ზურგზე გიდელ წამოკიდებული. ხმა ამოულებლივ მივლენ ბახლობელ მდინარესთან, ხარს წყალს დაალევინებენ, გამობრუნებისას კალოზე თოვლის ზვინს დასდგამენ, შუაზე ნაძვის ხეს ჩასვამენ და სამჯერ შემოვლის შემდეგ სახლში ბრუნდებიან.

მექვლე კარებს დააკაცუნებს შემდეგი სიტყვებით: „ყორშუკიარ, ყორ მუკიარ (კარი გაალეთ) ღერ თემიში იხელ-

<sup>1</sup> В. Окропиров, „Новое обозрение“ 1895 № 3790

<sup>2</sup> ცელი, ახალიშელი, გაზ. „თემი“ 1912 № 1.



წიფი უორ ამღვე, ყორ მუკიარ“ (ლვთისა და ხელმწიფოს წყალობა მომაქვს, კარ გამიღეთ)<sup>1</sup>. სახლში შესვლისას კერას სამჯერ შემოუვლის, დიდ ჯვარიან პურზე დააწყობს ტკბილეულს და ვერცხლის ფულებს, უფროს უმცროსობით ყველას დაუვლის და დღესასწაულს ულოცავს. ამასთანავე თვითეული მათგანი, მარჯვნივ შემოტრიალებისას კბეჩს დიდ პურს და მაზე დალაგებულ საგნებს ხელის შეხებით სინჯვავს.

**საყურადღებოა აგრეთვე ზემო რაჭაში დაცული ახალწლის რიტუალი.** იქ საახლწლოდ აცხობენ ორ ბაჭულს, ერთს ახალწლისათვის და მეორეს ძველისათვის. აცხობენ აგრეთვე იდამიანის სახის კაცა-ბასილის და ერთ დიდ პურს „კერია-ბერია“-ს, რომელსაც სხვადასხვა სახეებით აჭრელებენ.

ამ ნამცხვრებს ოჯანის უფროსი ცხრილზე დაალაგებს და ბელელში შეინახავს. მამლის პირველ ყივილისას „მაკვრიელი“ ან მეკვლე ცეცხლს დაანთებს. შემდეგ გარედ გავა, მარხილზე დაწყობილ ნეკერს მოსტეხავს, „თომს“, მოგლეჯავს, პატარა ჩიჩილაქს აიღებს და ბელელში შევა. ამ მცენარის ტოტებს ცხრილზე დაალაგებს და ცხრილი-ანათ სახლში ბრუნდება.

• მეკვლე კერია-ბერიას პურს საფუარზე დასდებს, მარჯვნივ აბრუნებს და თან ხმამალლა იტყვის: „შემოვდგი ფეხი გწყალობდეს ლმერთი დიამც მამივა ახალი წელი: შეძენის და მოგების, მშვიდობის და კარგად ყოფნის, ვაჟიანობის, ლვინიანობის, პურიანობის“ და სხვა.

შემდეგ ოჯახის მეკვლე ცხრილს ვარცლზე დასდებს და წყლის მოსატანად წავა. მის დაბრუნებამდე ყველანი

<sup>1</sup> ლ. დადუანი, „სასოფლო გაზეთი“ 1875 წ. № 3.

დგებიან. მეკვლე ყველას ხელპირს დააბანიებს. საუზმის დროს „კერია-ბერია“-ს ყველას გაუნაშილებენ, დახარჩენს კი ბელლის ოთხულ თვალში ჩასდებენ და სხვა.

ახალწელის მეორე დღეს სამეგრელოში „კუჩხა“-ს უწოდებენ, რომელიც სამეცვლეო დღეს ნიშნავს.

„მაკუჩხურს“ (მეორე დღის მეკვლე) უბანი ირჩევს, რომელიც სათნო და კეთილის მყოფელ ადამიანად არის მიჩნეული. სანამ მეკვლე ხელში ჩიჩილაკით და მარცვლის თესვით უბანს არ დაუვლის, სახლიდან არავინ გადის, არც არაფერს გასცემენ, რომ სახლს ბარაქა არ გამოელიოს.

მეკვლეს ყველგან უმასპინძლდებიან, ასაჩუქრებენ ფულით და კვერცხებით.

უწინ ალბად, როდესაც სამეგრელოში ვაზი ჰხარობდა, კუჩხა დღეს ასეთი ჩვეულება სცოდნიათ: „მეკვლე ზურგზე გიდელ აკიდებული, რომელშიაც ეწყო ყურძნის მტევნის მსგავსი გამომცხვარი კვერები, მივიდოდა საწნახელთან და ქვით სცემდა შემდეგი სიტყვებით: ,ჩანა, ჩანა ჩქიმ მამულს ყურძენი დო შხვაშ მამულს ფურცელი“-ო.

შემდეგ მივიდოდა ვაზთან, გიდელს ჩამოკიდებდა, ხელში ცულს აილებდა და მოსაჭრელად მოუღერებდა, მაგრამ მას შეაჩერებდენ იმ პირობით, რომ ვაზი დამდეგ წელს კარგ ნაყოფს მოისხამსო“<sup>1</sup>.

კუჩხა დღეს მეგრელები დიდ სიმშვიდეს იცავენ. მთელი ოჯახი ამ დღეს მუშაობაში ატარებს. ქალები ხელსა-ქმობენ, ახლად გამოჩეკილ წიწილებს უვლიან, რომ სიზარმაცე არ დაეკვებოთ. მამაკაცები ამ დღეს ნადირობაში ატარებენ, სცდილობენ ნიშანი არ აუცდეთ, რაც ცუდის მომასწავებელია.

<sup>1</sup> თ. სა ხოკია. ახალწელიშვანი სამეგრელოში, მოამბე, 1897 წ. № 1 გვ. 97.

სვანეთშიაც ვინც მონაღირეა ახალწლის მეორე დღეს ნიშანს სდგამს და მის მიხედვით მომავალზე წინასწარმეტყველებს.

სახლწლო ჩიჩილაქს სამეგრელოში წინეთ ერთ კვირას ინახავდენ, შემდეგ სამკაულს შემოაცლიდენ, თეორ წვერს ცეცხლზე შემოატრუსამდენ და ჭამურულ ჯოხს უნზრას ოჯახში შეაგდებდენ. ამიტომ იმ ღამ ყველგან ფრთხილობდენ, რომ გამურული ჩიჩილაქის ჯოხი არავის შემოეგდო, რაც ოჯახისათვის დიდი უბედურების მომასწავებელი იყო<sup>1</sup>.

ეს ჩეულება სამეგრელოში დღეს თითქმის გადავარდნილია და ჩიჩილაქს ნათლისალება დღეს ცეცხლში სწვავენ, ტკბილეულს ბავშვებს გაუნაწილებენ და დარჩენილ განალოც ფეტვს წიწილებს დაუყრიან. ახალწლის სწორზე რაჭაშიაც ტაბლას აალაგებენ, რცხილის ტოტებს, თხილის კუკუროებს და „დედოფლის ხელს“ ცეცხლში დასწვავენ და სხვა.

ამით ვათავებთ ჩვენ დასავლეთ საქართველოს ხალხური ახალწლის მიგებების წესების აღწერას და გადავდივართ აღმოსავლეთ საქართველოზე.

ქართლელი გლეხის თარბაზი ახალწელიწადს დიდ ნამზადისით ეგებება. თავდაპირველად აცხობენ ბასილას ქანდაკებას, ოჯახის თვითეულ წევრთათვის ორ ორი ბედის კვერს და თითოს დამახასიერებელი ნიშნებით შინაური საქონლისათვის.

მაგალითად, მეწველ ძროხის კვერს ამკობენ ძუძუების სახით, ცხენისას — ფაფრის, მუშა საქონლისა — სამუშაო იარაღებით და სხვა.

<sup>1</sup> თ. სახოკია, მოამბე 1897 წ. № 1.

საახლწლო სანოვაგის დამზადების შემდეგ, ჯერ კიდევ გათენებამდე ოჯახის უფროსი ხონჩაზე თავდაპირველად მოხარშულ ღორის თავს დასდევს, გარშემო ბედის კვერებს შემოუმწერივებს და ზედევ ბასილას ქანდაკებას დაასვენებს. ამასთანავე ხონჩის ერთ გვერდზე „დასაბერებლად“, თაფლში ამოვლებულ პურის ლუქმებს ჯამით მოათავსებს და ანთებულ სანთლებს მიაკრავს. ამ საახლწლო ხონჩას ქართლში „აბრამიანს“ უწოდებენ.

გათენებისას, ოჯახის უფროსი მამაკაცი ამ გაჩალებულ აბრამიანს გარედ გაიტანს და სამჯერ სახლს ლოცვით შემოუვლის, შემდეგ ბოსლისაკენ გაემართება საქონლის მისალოცავად. ბოსლიდან ისევ დარბაზში ბრუნდება, აბრამიანს სახლის კერასთან მისდგამს, მუგუზზალს იღებს, ცეცხლს შეუჩინჩხლებს და რამდენი ნაპერწყალიც გასცვივდება. ხმამაღლა წარმოსთვამს: „ამდენი ხარი, ამდენი ძროხა, ამდენი ღორი მომანიჭეო და სხვა<sup>1</sup>.“

შემდეგ, ოჯახის ყველა წევრს თაფლიან პურის ლუკმით დააბერებს. აბრამიანს ქართლში სამი დღე ინახავენ. მესამე დღეს ბასილას გულიდან ჯვარს ამოჭრიან და ფქვილის გოდორში ჩააგდებენ. ბარაქა ამ გოდორსაო. ახალწელიშადს ქართლში არათერს გაანათხოვრებენ, ოჯახს ბარაქა გამოელევაო. ოჯახში მშეიღობიანობას იცავენ და ყოველგვარ უსიამოვნებას გაურბიან.

ზემო ქართლში, სახელდობრი, ჯავახეთში ახალწელიშადს იმგვარადვე ხვდებიან, როგორც გორის მაზრაში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ 31 ქრისტეშობისთვეს მზის ჩასვლისას ოჯახის უფროსი მამაკაცი ხელში რკინის ჯოხით სახლს სამჯერ შემოუვლის, თან სახლის ანგელოზს

<sup>1</sup> ნ. ურბნელი, ახალწელიშადი, „ივერია“ 1889 წ. № 1.

სთხოვს, მისი ოჯახი ეშმაქის გზას ააცდინოს. გათენებისას, საახალწლო ტაბლას აიღებს, თავის ეზოს შემოუვლის და სახლის ბანზე ავა შემდეგი სიტყვებით: „ერდოსა შენსა შემოვდგი ფეხი (გარშემოუვლის) ჩემო ცოლ-შვილო გრძალობდეთ ლმერთი და სხვა<sup>1</sup>. შემდევ ბანიდან პურის გამოქანდაკებულ ნამცხვრებს ჰყრის და მათი მდებარეობის მიხედვით მომავალზე წინასწარმეტყველებენ. სახლში შემოსვლისას მეკვლე ყველას „დააბერებს“, თითეულ ოჯახს თავისი მეკვლე ჰყავს არჩეული. ამ დღეს სახლიდან არა-ფერს გასცემენ.

აღსანიშნავია აგრეთვე საინგილოში დაცული ახალწლის მიგებების რიტუალი, რომლის მოკლე აღწერილობას ჩვენ აქ მოვიყვანთ.

ახალწლის წინა ღამ საინგილოში თოფების სროლა იმართება და შუალამისას უცბად სწყლება.

ამ დროს ოჯახის უფროსები ლოგინიუან დგებიან და ცეცხლს დაანთებენ. დედაბერი თითისტარზე გაჩქარებით ბამბის ძაფს დაართავს, ზემდეგ ჩუმად მივა ოჯახის მძინარე წევრთან და მკლავზე ძაფს შემოაბამს. ასეთივე ძაფს შემოავლებენ აგრეთვე ჭურჭელს და ავეჯს. მამლის ყივილისას მძინარებს დააღვიძებენ და წოჯახის უფროსი მამაკაციც კარში გადის და კარებს დააკაკუნებს, შემდეგი სიტყვებით: „კარ გამიღე“ დედაბერი მიაძახებს რა მოგაქვს, მეკვლე სამჯერ უპასუხებს „წყალი წყალობა“. შემოდი, კვალი შენი—კვალი ანგელოზისა. ის სახლში შედის იღებს თიხის ჩაფს, აბგით საკენკს (მარცვლეულს) და მდინარისაკენ გაეშურება, სადაც ხელპირს დაიბანს და ლმერთს ახსენებს. მეკვლე ჩაფს წყლით გაავსებს, აბგის საკენკიან

<sup>1</sup> კოპტანა შვილი, „ივერია“, 1888 წ. № 256.

თვალს წყალში ამოავლებს, თხილის კინკილოიან (ყვავილიან) ტოტებს მოამტვრევს, აბგის ცარიელ თვალში ჩაალაგებს და შინისკენ ბრუნდება.

სახლში შემოსვლისას ჩატს თაროზე დასდებს, თხილის ტოტებს პურის ბეღელში ჩააგდებს, საკენკს სახლის ყველა კუთხეში გადააბნივ-გადათესავს შემდეგი სიტყვებით: „ლმერთო ქურმუხის საყდარო, ნუ მოგვაკლებ პურსა და სარჩო-საბადებელსაო“ ۱

შემდეგ ყველანი კერის ცეცხლს მოუსხდებიან, სახლის უფალი, წინად დამზადებულ ერთ კონა ლარტახს (კაქლის ტოტები) კერიდან ჩამოიღებს ყველას სათითაოდ ჩამოურიგებს და კერას შეუტყლაშუნებენ, მათ ტკაცი-ტკუცხე უფროსი ლოცულობს. შემდეგ ტოტებს ისევ ჭირში შეინახავენ. გათენდება და ხონჩაზე დაალაგებენ აღამიანთა და ცხოველთა გამოხატულების გამომცხვარ კვერებს, წითელ და თეთრ ფერის ბამბის ძაფს და წავლენ ვენახის საკვლევად.

დაბრუნებისას ყველანი სჭამენ თავიანთ კვერს, აგრეთვე შინაურ საქონელსაც მათოვის გამომცხვარ კოკორს აჭმევენ.

მეკვლე გარეშე და ყოველმხრივ ბეღნიერი აღამიანი უნდა იყოს, მის მოსვლამდე სახლიდან არავინ გადის და არც არავის იღებენ<sup>1</sup>.

ახალწლის მთლიანი სურათის აღსაღვენად, ჩენ აქ მოვიყვანთ მთიელთა ახალწლის მიგებების ზოგიერთ წესებს.

ახალწლის წინა საღამოს, ხევსურები თავიანთ ოჯახის ერთ ერთს მამაკაცთაგანს, ახლობელ ხატში ჰგავნიან. მას ატანენ იმდენ ცალ ჩამოქნილ სახთელს, რამდე-

<sup>1</sup> მოსე ჯანაშვილი, ახალწელიშადი საინგილოში, გაწ. „ივერია“ 1886 წ. № 1.

ნიც ოჯახში „ქუდიანია“ და ამ სანთლებს „წულის სანთელს“ უწოდებენ. ხატში წასულ მეკვლეს გამობრუნებამდე სახლიდან არავინ გადის. შიგ დარჩენილები აცხობენ ერთ მოზრდილ „სამეკვლეო კვერს“ და ყველასათვის სათითაოთ „ბედის კვერებს“.

ახალწლის გათენებისას, მზის ამოსვლამდე, ხატიდან მეკვლე სახლში ბრუნდება და თან დასტურისაგან (მორიგესაგან) გამოტანილი „საფუარი“ (ლუდი) მოაქვს. სახლის კარებში დიასახლისი მას სამეკვლეო კვერს უსიტყვოთ მიაწოდებს. მეკვლე ამ კვერს სახლში სამჯერ შეაგორებს, შემდეგი სიტყვებით: „ჩემიმც კვალი კაზე (კარგზე) დაგიჯდებისაო, პურიანი, წულიანი სახლ-სარგებლიანო“<sup>1</sup> და სხვა.

სამეკვლეო კვერის მდებარეობით მეკვლე მომავალზე წინასწარმეტყველებს.

ბოლოს მეკვლე პირში საფუარს ჩაიყენებს და ოჯახის ყველა წევრს, საქონელს და საღვამებს შეასხამს. შემდეგ ალებენ სახლის კარებს და ყველას შეუძლია გარედ გასვლა.

ხევსურეთში ახალწელიწადს ერთმანეთს კარში ულოცავენ, რაღგანაც სახლებში მიმოსვლა მხოლოდ მესამე დღეს შეიძლება.

~~ა~~ ახალწლის მეორე დღეს ხევსურები „ქუმატობა“ს ან „მარხე“ს უწოდებენ (ხორციელი მარხეა) და მიკუთვნილია კაცისა და საქონლის კარგად ყოფნისათვის.

~~ა~~ ფშავში ახალწელიწად დილას დიასახლისი ადგება თუ არა, მაშინვე ფვილს გაცრის და „გოგები“ს — ბედის კვერების გამოცხობას შეუდგება.

<sup>1</sup> დ. პავლიაშვილი, „ცნობის ფურცელი“, 1902 წ. № 1687.

პირველად აცხობენ „ხარის გოგა“ს, რომელზედაც გამოსახულია პურის მოსავალი, საქონლის შემატება და სხვა, შემდეგ ოჯახის თვითეულ პირისათვის „სათავნო“ — ბედისკვერებს, დამახასიათებელ ნიშნებით და, რომელიც გამოცხობაში აიწევს, მისი პატრონის განდიდების მომასწავებელია.

ამავე დროს დილა აღრიან ოჯახიდან ერთი ვინმე წყალზე წავა, თან „ნაყრს“ — საუზებს, წაიღებს, წყალში ჩააგდებს, და იტყვის: „წყალო ნაყრი მოვიტანე ბედი გამოძოლეო“ (სამჯერ). შემდეგ სახლში ბრუნდება და სუფრას გაშლიან, რომელზედაც ალაგებენ თაფლიან ჯამებს „დასაბერებლად“, ხმიადებს „სახელს შესდებენ“ ე. ი. ოჯახის მიცვალებულებს მოიხსენიებენ და ერთმანეთს თაფლით დააბერებენ.

მერმე ხინკლის სამზადისს და მეკვლეს მოწვევას შეუდგებიან, რომლის სიტყვიერი გამოძახება არ შეიძლება, ამიტომ მეკვლეს სახლის კარებს, ქვას ან სხვა რამეს ესვრიან. ამ ნიშანზე მეკვლე სამეკვლეოდ გამოემართება, რომელსაც ოჯახის პატრონი თავის კარის ზღურბლის გადმოცილებამდე „დააბერებს“, შემდეგ „ხარის გოგას“ მიუტანს, რომელსაც მეკვლე კარებიდან სახლში სამჯერ შემოაგორებს და თუ მისი დახატული მხარე სამჯერვე ზემოდ მოეცა, მაშინ იტყვიან, რომ მეკვლეს კარგი კუალი ჰქონიაო. სახლში შემოსვლისას მეკვლე იტყვის: „ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისა, კარგამც მოგიხდებათ ჩემი მეკვლეობა, დიდი გიმატოს ლმერთმა, ახალწელის გამოცვლამ დიდი გიმატებიათო თავის კაცით საქონითო“.

ახალწელიშადს ფშავში, სახელდობრ შუაფხოში, საუზმის შემდეგ ცეცხლში ერთმანეთს ქუდებს უგდებენ, ზოგი თვითონაც ჩააგდებს და გატრუსულ ქუდს აიტაცებს.

საახალწლო კვერებს და ხარის გოგას ფშავში ნათლისუბამდე ინახვენ, მაშინ დილა იღრიან ხარის გოგას ხ. რის კისერზე დაამტკრევენ, შუაზე გატეხილს მეორე ხარს გადაამტკრევენ და ნატეხებს მათვე შეაქმევენ. თავიანთ ბედის კვერებს თითონვე მიირთმევენ.]

ამგვარად, ამ მოკლე მიმოხილვით ჩვენ ვამთავრებთ ახალწლის წესების კუთხობრივ აღწერას და გადაფდივართ მათ შედარებებზე.

როგორც აქ მოყვანილი ახალწლის წესების აღწერილობებიდან გამოირკვა, თითქმის მთელს საქართველოში საახალწლო ტაბლას, პირველ ყოვლისა, ბასილას ქანდაკიბა და მისი კვერები ახასიათებენ, შემდეგ ლორის თავი<sup>1</sup>. ამასთანავე მცენარეების ტოტების ხმარება, ხილით და ტკბილეულით „დაბერება“ და ტაბლის შემკობა, მარცვლის თესვა, კერის ცეცხლის გაჩაღება, მის გარშემო ლოცვა და რიტუალობა, მეკვლეს არჩევანი და მისი დალოცვა — წინასწარმეტყველებანი ყველგან გავრცელებულია.

მაგრამ მათ შორის მსგავსებასთან ერთად, რასაკვირველია, ზოგიერთი განსხვავებაც არსებობს.

მაგალითად, დასავლეთ საქართველოში მიღებულია საახალწლო ჩიჩილაკის ხმარება და მეკვლეს მიერ კარის დაკაკუნება. მათ შორის არის სხვა წვრილმანი განსხვავებანიც, გამოწვეული უფრო იღვილობრივი რწმენით და პირობებით, რომელთა განხილვას ჩვენ აქ არ შეუდგებით, მაგრამ უნდა ავღნიშნოთ ერთი საგულისხმიერო მოვლენა,

<sup>1</sup> გარდა საქართველოს გამაჰმადიანებულ კუთხეებისა, რომელთა შორის ღორი უშმიდ ურ ცხოველად ითვლება. ამიტომ საინგრელოს მაჰმადიანი ქართველობა ახალწელიწადს ცხვარს ჰკლავენ, მაჰმადიანი აფხაზება თიკანს, ან თხას, რაც შეეხება ფშავ-ხევსურებს, მათ ღორის ხორცის კამას ხატი უკრძალავს და ახალწელიწადს ცხვარს ჰკლავენ.

რომ საინგილოს ახალწლის წესები, მიუხედავად მისი და-  
სავლეთ საქართველოსაგან გეოგრაფიულად დაშორებისა,  
უფრო ენათესავება გურია-სამეგრელოს კალანდას, ვიდრე  
მის მახლობლად მდებარე ქართლის აბრამიანს.

მაგალითისთვის ჩვენ აქ მოყიდვანთ მათ ზოგიერთ  
შედარებებს:

გურია-სამეგრელოში და საინგილოში ახალწელიწადს  
მიღებულია თოვების სროლა, მდინარიდან წყლის მოტანა,  
თხილის ტოტების ხმარება, კარების სამჯერ დაკაკუნება,  
ხორბლის თესვა, მეცვლეს ერთვარი არჩევანი, მის მიერ  
ოჯახის გალოცვა, ვენახის კვლევა და სხვა.

ამ მხრივ ფრიად საინტერესოა საქართველოს ამ ორი  
კუთხის შორის წარმართობის სხვა საღლესასწაულო წესე-  
ბის შედარებითი შესწავლაც, რომ ჩვენთვის მათი სარ-  
წმუნოებრივი კავშირი უფრო ნათელი შეიქმნეს. ეს კი  
მომავლის ამოცანაა, რომლის გამორჩევა ქართულ ეთნო-  
ლოგიურ მეცნიერების მიზანს უნდა შეადგენდეს.

აქ მოყვანილი ხალხური ახალწლის წესების შედარე-  
ბის დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ გურია სამეგრე-  
ლოს ახალწლის წესები, საქართველოს სხვა კუთხეებთან  
შედარებით უფრო ვრცელი და მრავალ წარმართული  
წესების მატარებელია.

მაგრამ, სანამ ჩვენ ამის განხილვაზე გადავიდოდეთ, სა-  
კიროდ მიგვაჩნია მოკლეთ შევეხოთ ხალხური სარწმუნო-  
ებრივი შემეცნების განვითარების დახასიათებას.

მოვეხსენებათ, რომ ყოველგვარ სარწმუნოებრივი მო-  
ძრაობის წარმოშობას ხელს უწყობდა რეალური პირო-  
ბები, ამიტომ არც ერთი სარწმუნოებრივი მიმართულება  
მოწყვეტილად არ შექმნილა, რომელსაც ერთის მხრივ მი-  
სივე თანამედროვე საზოგადოებრივ აზროვნებაში ღრმა

ფესვები არ ჰქონდა გადგმული და მეორეს მხრივ უკვი განცდილ რწმენასთან და სხვა სარწმუნოებრივი მიმართულებებთან მჴიღრო გენეტიური კავშირი.

ამასთანავე ადამიანის სარწმუნოებრივი შემეცნებანი თავისი რიტუალური წესებით, როგორც მისი ყოველივე შემოქმედება, მუდმივ ცვლილებებს განიცდიან. ამიტომ ყოველივე სარწმუნოებრივი მოძღვრება თავის დოგმატიკის შინაგან გაფახალისებით სცდილობდა მოზუმუნეობა რელიგიური გრძელობის დაქმაყოფილებას.

მაგრამ განყენებული დოგმატიკა მდაბიო ხალხისათვის მუდამ გაუგებარი იყო, მისი გამოსახულების რიტუალი კი უფრო მისაწვდომი. ამიტომ ერთხელ შეთვისებულ რიტუალურ წესებს ხალხი ძნელად ივიწყებს, ახალს ძველთან შეადულებს, ან ორივეს ერთად დაიცავს.

ამით აიხსნება ძველი ზნე-ჩვეულებების ხანგრძლივობა, რომლის ერთგული დარიჯი მდაბიო ხალხია და სასულიერო წოდების განუვითარებელი ნაწილი.

ამ მხრივ არც ქართველები შევადგენთ გამონაკლის. ჩვენი ხალხი, შეიძლება ითქვას, რომ განვლილ რწმენათა ცოცხალი მუხეულია, რომელთა ნაშთებს ის დღემდე იცავს და თავის ხატობა-დღეობებში ჩვენ სახილველად გამოჰვენს.

მართალია, ამ წესების რიტუალობის პირვანდელი გაგება მდაბიო ხალხში მივიწყებულია და მისი განათლებული ნაწილისათვის გაუგებარი, მაგრამ მახვილ თვალს და განსწავლულ გონებას მაინც შეუძლია მათი რაობის ჭეშმარიტი გაგება.

ამასთანავე სარწმუნოებრივი შემეცნების ცვალებადობაზე არა ნაკლებ ზეგავლენა ჰქონდა აგრეთვე ამა თუ იმ ერის გეოგრაფიულ მდებარეობას და პოლიტიკურ-ეკონომიურ პირობებს.

ამ მხრივ ქართველი ტომები უძველეს დროიდან განსაკუთრებულ ძნელ პირობებში იყვნენ ჩაყენებულნი და არ ყოფილა არც ერთი დიდი სარწმუნოებრივი მოძრაობა, რომელსაც ქართველ ხალხში მთელი თავის სიმკაცრით არ გაევლოს და მასზე თავისი ბატონობის წარუშლელი კვალი არ დაეტოვებიოს.

ქართველთა უძველესი სარწმუნოებრივი შემეცნებანი დაკავშირებული იყო ძველ სუმერიელთა რწმენასთან, რომელთა კულტურულ ოჯახში ჩვენი შორეული წინაპრებიც შედიოდენ და მათთან ერთად ქართველ ტომებმაც ძველ ბაბილონის მიდამოებში შემოსეულ მტრებისაგან კატასტროფიული განადგურება განიცადეს.

ახალ სამშობლო—კაცების გადმოსახლებისას ჩვენმა წინაპრებმა თან შემოიტანეს თავიანთი ძველი რწმენის ნამსხვრევები, მაგრამ აქაც სპარს-ბერძენ-რომაელთა ძლიერი პოლიტიკურ-კულტურული და სარწმუნოებრივი გულენის ქვეშ მოყვნება.

საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებისას ჩვენი სამშობლო სამი სარწმუნოებრივი მიმართულების: კერქთა-ყვანისმცემლობის, მაზდეანობის და ქრისტიანობის საობარი ასპარეზი შეიქმნა, რომლებმაც ჩვენში თავიანთ ბატონობის წარუშლელი კვალი დასტოვეს.

ერთი სიტყვით, ქართველი ხალხის სარწმუნოებრივი შემეცნების და მისი რიტუალური წესების შესწავლის დროს ანგარიში უნდა გაეწიოს უცხოელებისაგან ნებით თუ უნებლიერ შეთვისებული წესების არსებობასაც. მაგრამ ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ უმეტესი მათგანი თვით ქართველთა რელიგიური გენის შემოქმედების ნაყოფია, რომელთა მკრთალ სახეს ის მუდამ თავის ბუნებაში ატარებს.



როგორც ჩვენ უკვე ოღნიშნეთ, ახალწლის სადღესას-წაულო წესები თავდაპირველად მზის ღვთაების თაყვა-ნისცემასთან იყო დაკავშირებული. მზე, ყველა ძველ კულ-ტუროსან ერებში, უმთავრეს ღვთაებად ითვლებოდა, რო-მლის დღესასწაული ყოველ გაზაფხულს დიდის ზეიმით იმართებოდა და, რომელიც იმავე დროს წლისთავის და-საწყისიც იყო.

ძველ წარმართულ აღმოსავლეთში წლისთავის დღე-სასწაულზე, მზის ღვთაების კერპს ცომისაგან აღამიანის სახით და ცხოველთა ნაწილებით აქანდაკებდენ და მას დიდის ზეიმით ატარებდენ. მაგალითად, ძველ ბაბილონ-ში ახალწელიწადი (ზაჟმუკ) მარდუკის (გაზაფხულის მზის ღვთაება) დღესასწაული იყო.

ამ დღეს ღვთაება მარდუკის კერპს, წმიდა მდინა-რეზე ნავებით ატარებენ და მეფე მის ხელისხლებით მო-მავალზე წინასწარმეტყველებდა<sup>1</sup>.

ძველ ეგვიპტეში ოზირისის (მზის ღვთაება) დღესას-წაულზე, რომელიც 6 იანვარს იმართებოდა, ამ ღვთაებას აღამიანის სახით ცომისაგან აქანდაკებდენ და მდინარეზე ატარებდენ<sup>2</sup>.

მზის თაყვანისცემა ქართველებს და მის მეზობელ სო-მეხთა შორის გავრცელებული იყო. მათ ეს კულტი თა-ვიანთ უძველეს სამშობლო — ქალდეიიდან ახალ სამშობლო კავკასიაში გადმონერებული და გაავრცელეს. ამიტომ, რასა-კვირველია, მათშიაც, როგორც საზოგადო ძველ აღმო-სავლეთში მზის ღვთაების დღესასწაული წლისთავთან იქ-

<sup>1</sup> Winckler Hugo. Geschichte Babyloniens und Assyriens. Leiprig. 1892.

<sup>2</sup> Б. А. Тураев, История древнего Востока, часть 1 С. П. Б. 1913 г.

ნებოდა დაკავშირებული და მზის კერპის გამოქანდაკებული ნამცხვარი აღმათ მათ საზეიმო პროცესიასაც ამშვენებდა, რომლის უტყუარი მოწმე და ცოცხალი ნაშთი ქართულ საახალწლო ტაბლაზე მდებარე „ბასილა“-ს და სომხური „ნავასარდი“-ს „ასილ-ბასილის“<sup>1</sup> ქანდაკებაა.

ჩვენის აზრით, წარმართობის დროს ბასილა მზის ღვთაების ქანდაკება უნდა ყოფილიყო. ბასილას კვერები კი მასთან დაკავშირებული ღვთაებანი, რომლებსაც ჩვენი წინაპარნი შორეულ წარსულში შვიდ მნათობთა სახით თაყვანსა სცემდენ.

მხოლოდ III საუკუნ. ქრისტეს შემდეგ, ქრისტიანულ ეკლესიამ ახალწლის დღესასწაული წმ. ვასილის ხსოვნას დაუკავშირა და ამ დროიდან ქართულ საახალწლო ტაბლაზე მდებარე მზის ღვთაების ქანდაკებას თანდათანობით „ბასილა“ ეწოდა.

ამგვარად, ბასილას თავისი ფესვები ქართველთა რწმენის შორეულ წარსულში აქვს გამდგარი. მისი სახით სხვადასხვა წმიდანთა ამოფარვით დღემდე მოუღწევია ჩვენ წინაპართა უძველეს რწმენის მზის ღვთაების ქანდაკებას.

მეორე, ახალწლის მეტად დამახასიათებელი საგანთავანი, „ჩიჩილაკია“, რომლის ეთნოგრაფიული გავრცელება დასავლეთ საქართველოს არ სცილდება და ამიტომ საინტერესოა მისი სადაურობის გამორკვევა.

შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ჩიჩილაკიც თავის თეთრ გრძელი და ხუჭუჭა წვერებით მზის სრმბოლო იყო, რომლის ხელის შეხებით ქართველი მეკვლე, ბაბილონთა მეფეთა მსგავსად, მომავალზე წინასწარმეტყველებს.

გარდა ამისა, ჩიჩილაკის თხილის ჯოხისაგან აკეთებენ და მისივე კუკუროიან ტოტებით ამჟობენ. შეიძლება ამ

<sup>1</sup> Ազգագրական հանդես. ტფილისი, 1903 წ. ტ. X გვ. 249.

ხეს მზის თაყვანისცემასთან რაიმე კავშირი ჰქონდეს. შით უმეტეს, რომ თხილის ხეს სხვა შემთხვევაშიაც თაყვანსაც სცემენ.

მაგალითად, აფხაზები მას დღესაც წმ. ხეთ სთვლიან და კვერებით ულოცავენ.<sup>1</sup> შესაძლებელია ამ შემთხვევაში ხის თაყვანისცემასთან გვაქვს საქმე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ცნობილი იყო მუხის თაყვანისცემა<sup>2</sup>

საზოგადოდ ხეთა თაყვანისცემა დაკავშირებულია მნათობთა თაყვანისცემასთან და ამიტომ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ თხილის ხე, როგორც ნაყოფიერი და მეტად ნოყიერი ნაყოფის მქონე მზის ღვთაებისადმი ყოფილიყო შეწირული და ამიტომ ახალწლის დღესასწაულზე მისი სიმბოლო-ჩიჩილაკს თხილის ჯოხისაგან აკეთებდენ.

ამის შესაძლებლობას ისიც მოწმობს, რომ ძველ საბერძნეთში ღმერთებს იმ ხისაგან აქანდაკებდენ, რომელიც მისადმი შეწირული იყო, მაგალითად, ზეთისხილის ხისაგან ღვთაება ათინას აქანდაკებდენ, დიონისეს-ვაზისაგან, პალმისაგან და სხვა<sup>3</sup>.

ამას გარდა, ზოგიერთი ხები ღვთაებათა სადგოძრაძებად ითვლებოდენ, როგორც მაგალითად, მუხა ზევსის სადგომი იყო, პალმა-აპოლონის და სხვა,<sup>4</sup> ამიტომ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ თხილის ხეც, როგორც მუხაც, მზის ღვთაების სადგომი იყო და მას სხვა წმ. ხებთან ერთად ჩვენი წინაპარნი შორეულ წარსულში

<sup>1</sup> Н. Джанашия, Религиоз. веров. Абхазцев. Христ. Вост. т. IV, вып. I, 1915 г. гл. 99.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, оп. cit., ფ. I, გვ. 138-140.

<sup>3</sup> В. Латышев, Очерки Греч. древност. част II, Спб 1889 г. гл. 38.

<sup>4</sup> А. Мензис, История религий, Спб. 1897 г. гл. 206.

თაყვანსა სცემდენ, მის ტოტებისაგან კი მზის სიმბოლო თეთრ-წვერა „ჩიჩილაკს“ აკეთებდენ.

საახალწლო ჩიჩალაკს აგრეთვე ამკობენ: სუროს, დაფნის, თუთის და რცხილის ტოტებით. ყველა ეს მცენარეები, ხალხის რწმენით, რომელიმე მნათობ-ლვთაებასთან დაკავშირებული იქნებოდა. ეს წმ. ხეები, დიდ მუხასთან ერთად, წმ. ხეივანებს წარმოადგენდენ, სადაც მნათობთა თაყვანის მცემელი ხალხი ლოცულობდა და მათ ტოტებს მრავალ შესაწირვებით ამკობდა.

წმ. ხეივანები ყველგან გავრცელებული იყო.

ძველ სომხეთში, მოსე ქორენელის ცნობით, წმ. ხე „ბარტუ“-ს თაყვანსა სცემდენ, რომლის ხეივანი არმავირის მახლობლად ყოფილა და მისი ფოთლების შრიალით მომავალზე თურმე წინასწარმეტყველებდენ.<sup>1</sup>

საქართველოში ცნობილია მარტვილის და არმაზის წმ. ხეივნები, სადაც ჩვენი წინაპარნი თავიანთ ლვთაებებს თაყვანსა სცემდენ. ქრისტიანობის გავრცელებას ხეთა თაყვანის ცემის აკრძალვა მოჰყვა, გაიჩეხა წმ. ხეივნები და მათ ადგილზე ტაძრები აღაშენეს.

საქართველოში ცნობილია თქმულება ანდრია მოცი-ქულზე, რომელმაც მარტვილის წმ. მუხა მოაჭრევინა და მის ადგილზე მარტვილის ძველი ტაძრის საფუძველი ჩა-ყარა. მაგრამ ხალხმა ძველი რწმენა წმ. ხეივანთა დღემდე დაიცვა და მორწმუნეთა შორის ტაძრის ხის მოჭრა დიდ ცოდვათ ითვლება და სასტიკათ აკრძალულია.

გარდა ამისა, ჩიჩილაკს ხილეულით, ძვირფას ნივთებით, აბრეშუმის ძაფით და ტკბილეულით ამკობენ. ხილთა შორის, ბროწეული ჩიჩილაკის აუცილებელი სამკაულია.

<sup>1</sup> Мойсей Хоренский, оп. cit, кн. I, гл. XX.

ბროწეულით მეგრელები ახალწელიშადს ერთხანეთს ულოცავენ.

ამ ხეხილის ნაყოფით და ტოტებით შემქულია ხშირად ქართული ძეველი ტაძრების ჩუქურთმები და ხატები, ამიტომ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ბროწეულის ხეც მზის ღვთაების საკუთრებას შეადგენდა და მის წმ. ხეივანს ამშვენებდა.

მით უმეტეს, ჩვენ ვიცით, რომ ძეველ აღმოსავლეთში სირია-ელამში, ბროწეულს ღვთაება ასტრატს (მზის ღვთაება) წირავდენ, როგორც ნაყოფიერების სიმბოლოს<sup>1</sup>.

ქართული ჩიჩილიკი თავის მორთულობით თვალსაჩინოთ წააგავს ბერძნული „ჰიდასაუგანის“ (იუესიონ), რომელსაც აპოლონ ათინელს, როგორც სინათლის და სითბოს ღვთაებას, უძლვნიდენ.

იუესიონი შეკრული ზეთისხილის ტოტებისაგან შესდგებოდა, გარეშემო შემოვლებული ჰქონდა გაპენტილი თეთრი მატყლი, ზედ ჩამოკიდებული იყო ხილეული, ტკბილეული და პატარა ჭურჭლებით სხვა და სხვა სასმელები.

მოკაზმულ იუესიონს საზოგადოების მიერ ამორჩეული ყრმა აპოლონის ტაძარში შეიტანდა და იქ დანიშნულ ადგილზე აღმართავდა.

იუესიონს ყველა ოჯახი ამზადებდა და თავიანთ კარებზე გამოაკრავდა<sup>2</sup>.

თუ ჩვენ აჩასთანავე მხედველობაში მივიღებთ, რომ სამეგრელოში ხშირად, ვისაც საახალწლო ჩიჩილაკის გაკეთების და შეძენის საშუალება არა აქვს იმ შემთხვევაში

<sup>1</sup> Е. А. Рогозина, История Ассирии СПБ 1902 г. гл. 126.

<sup>2</sup> В. Латышев, оп. cit., часть II. гл. 135.

თხილის და სუროს ტოტებს პირდაპირ შეჰქრავენ, გაოშემო აბრეშუმის თეთრ ძაფს შემოავლებენ, ზედ სხვა და სხვა ხილეულს და ტკბილეულს ჩამოჰყიდებენ, მაშინ ბერძნულ ირესიონს და ქართული ჩიჩილაკის შორის უფრო საგულისხმიერო მსგავსებას აღმოვაჩენთ.

ამგვარად, ქართულმა ჩიჩილაკმა, როგორც მხის ღვთაების სიმბოლომ, თავის სამკაულთა შორის, ჩვენამდე დაიცვა იმ მცენარეთა ტოტები და ხილთა ნაყოფი, რომლებიც დიდ მუხასთინ ერთად ქართველთა წმ. ხეივანს შეადგენდა და, რომელსაც ჩვენი წინაპარნი შორეულ წარსულში თაყვანსა სცემდენ.

მთელს საქართველოში, გარდა მის გამაჰმადიანებულ ნაშილებისა, სახალხო ახალწლის ტაბლაზე საპატიო აღგილი ლორის თავს უჭირავს და სამეფოზე გარეულ ტახის თავს, რომლის სახე აგრეთვე გამოხატული იყო მეცე გიორგი I ფულებზე (1014—1027)<sup>1</sup>.

ამიტომ ჩვენთვის ფრიად საინტერესო უნდა იყოს ამ ცხოველის კულტის და მასთან დაკავშირებული რწმენის გამორკვევა.

ჩვენ ვიცით, რომ ძველად ყოველგვარ დღესასწაულებს მსხვერპლის შეწირვით იხდიდენ, რომ ღვთაების კეთილ განწყობილება მოეპოვათ. თავდაპირველად მირწმუნენი თავიანთ მთავარ ღვთაებებს ადამიანის მსხვერპლს წირავდენ, რომელი ჩვეულებაც გეოგრაფ. სტრაბონის<sup>2</sup> და ლეონტი მროველის ცნობებით, საქართვე-

<sup>1</sup> М. Баратав, Нумизмат. факты Груз. царства, СП. 1844 г. № 7. II. tab. I, 83. 9.

<sup>2</sup> В. Латышев, Изв. древн. писат. греч. и лат. о Скифии и Кавказе. 1893—96 г. т I, 83. 143.

ლოშიაც გავრცელებული ყოფილა. ეს საშინელი ჩვეულობა შემდეგში ცხოველების და ფრინველების მსხვერპლით შეიცვალა.

ყოველ ღვთაებას მსხვერპლად იმ ცხოველს წირავდენ, რომელიც ხალხის რწმენით მასთან დაკავშირებული იყო და თვით ღვთაებასაც იმ ცხოველის ნაწილებით აქანდაკებდენ.

მაგალითად, ღვთაება ზევსს ხარებს წირავდენ და თვით ღვთაებასაც ხშირად ხარის რქებით აქანდაკებდენ<sup>1</sup>.

გარეულ ლორებს აფროდიტე და ადონისეს სწირავდენ. თვით ღვთაება ადონისე თავდაპირველად მორწმუნებს გარეულ ტახის სახით ჰყავდათ წარმოდგენილი, რომლის წმ. ცხოველად ის ითვლებოდა<sup>2</sup>.

ძველ ოლიოსავლეთში ლორი საზოგადოდ ერთგვარ ტატემად ითვლებოდა, მაგალითად, ეგვიპტეში ლორებს პატივით ეპყრობოდენ და მათი ხორცის ჭამაც აკრძალული იყო, რადგანაც ეგვიპტელების რწმენით ლორმა აღამიანს მიწის ხვნა ასწავლაო<sup>3</sup>.

მაზდეანურ სპარსეთში ლორი ღვთაება მითრასადმი შეწირულად ითვლებოდა, რომლის შესახებ ავესტის ჰიმნებში სხვათა შორის ნათქვამია: „რომ ამ სასარგებლო ცხოველის მოდგმა მკვდრეთით აღდგომამდე უნდა გაგრძელდეს“-ო<sup>4</sup>.

სემიტებში ლორი საზოგადოდ უწმინდურ ცხოველად ითვლებოდა, და მოსეს კანონით მისი ხორცის ჭამა ებრაე-

<sup>1</sup> S. Reinach, Cultes, mythes et religions. 3 m. 1904-1908.

<sup>2</sup> J. G. Frazer, Adonis, Attis, Osiris, Lond. 1906.

<sup>3</sup> Cumont, Les religions orientales, 1907.

<sup>4</sup> I. Hammer, Mithriaca ou les mythriagues, vol. I. Paris, 1833, 83. 40.

ლებს აკრძალული ჰქონდათ: „და ლორი რამეთუ განპე-  
ბულ არს ჭლიკი მისი, და ფცხენს ფრცხილითა ჭლი-  
კისათა, და ესე არა აღმოიცოხნის, არა წმიდა არს  
თქუცნდა“ (ლევიტ. 11,7).

მაგრამ სემიტებშიაც ლორის ხორცის ჭამის აკრძალვა,  
მისი პირვანდელი გაგებით, უფრო დაკავშირებული უნდა  
ყოფილიყო ლორზე ტოტებურ შეხედულებასთან, რომლის  
დასაცავად მისივე უწმინდურება იყო წამოყენებული.

ძველ საბერძნეთში ლორებს ღვთაება დემეტრას წი-  
რავდენ, რომში კი ღვთაება იანუსს<sup>1</sup>.

საქართველოში კი ლორის კულტს, სხვა ცხოველებთან  
შედარებით, როგორც ახალწლის ისე სხვა დღესასწაულებ-  
შიაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

ამიტომ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ამ ფრიად საყურა-  
დლებო მოვლენის გარკვევა.

ამასთანავე უნდა ალვნიშნოთ, რომ ჩვენში, როგორც  
ეს საზოგადოდ ყველგან, გავრცელებული იყო, ხატობა-  
დლეობებში ამა თუ იმ ღვთაებას მის შესაფერის მსხვერპლს  
წირავდენ. და რადგანაც ქართულ საახალწლო ტაბლაზე  
პირველი ადგილი ლორის თავს უჭირავს, ამიტომ შესა-  
ძლებელია ვიფიქროთ, რომ ამ ცხოველს რაიმე კავშირი  
უნდა ჰქონდა ახალწლის ღვთაებასთან.

მაგრამ ჯერ კიდევ გამოსარკვევია ჩვენ წინაპართა  
თუ რა რწმენიდან გამომდინარეობდა ლორის კულტის  
ახალწლის-მზის ღვთაებასთან ამგვარი დაკავშირება.

უკვე ცნობილია, რომ წარმართულ საქართველოში  
ფრიად გავრცელებული იყო ხეთა თაყვანისცემა, განსაკუ-

<sup>1</sup> W. H. Roche's, Lexicon der Griechischen und Römischen Mythologie.



თრებით მუხისა, რომელიც საზოგადოდ მზის ღვთაების სადგომად ითვლებოდა.

ამასთანავე წმ. მუხნარის ხეივანს განსაკუთრებით ლორები ეტანებოდენ, რომლებიც მისი წმიდა ნაყოფით იკვებებოდენ, ამიტომ ეს ცხოველებიც მორწმუნეთა შემცნებით ხელშეუხლებლად და მუხის ღვთაებისადმი შეწირულებად ითვლებოდენ.

ეს გარემოება გვიკარნახებს ვიფიქროთ, რომ წარმართულ საქართველოში, სადაც გავრცელებული იყო მუხის თაყვანისცემა ლორებს წმიდა ცხოველებად სთვლიდენ და მორწმუნეთა შორის მათი ხელის ხლება და ხორცის ჭამაც სასტიკად აკრძალული უნდა ყოფილიყო. მხოლოდ წელიწადში ერთხელ წლისთავზე ლორებს მზის ღვთაებას მსხვერპლად წირავდენ.

რომ ჩვენი წარმართ წინაპარნი ლორებს წმიდა მუხას წირავდენ ამას, სხვათა შორის, სამეგრელოში დღემდე დაცული სალოცავი „კაპუნობა“ ან „დოდგიმირის“-ს არსებობა მოწმობს. ჩვენ აქ მოვიყვანთ მის მოკლე შინაარს.

დოდგიმირს სამეგრელოში ყველიერის წინა ხუთშაბათს იხდიან და მას მსხვერპლად დიდ „კერს“ (მამალი ლორი) წირავენ. რომელსაც დოდგიმირი ეწოდება. მას ოჯახის უფროსი კერის გარშემო ლოცვით სამჯერ შემოატარებს, შემდეგ ზედ კერის ბუკზე დაჰკლავს ისე, რომ სისხლი კერაზედ უნდა დაიღვაროს და არაფერმა დასუნოს.

ხუთშაბათ საღამოს ლორის გულ-ღვიძლს და გამომცხვარ კვერებს ხონჩაზე დაალაგებენ, მას ოჯახის უფროსი კერასთან სდგამს, სამჯერ მარჯვნივ მოაბრუნებს და თან ღმერთსა სთხოვს ოჯახის კეთილდღეობას. დასასრულ, იქვე მიირთმევენ ერთ კვერს და ლორის გულ-ღვიძლს.

ლოცვის შემდეგ ოჯახის ყველა წევრი დოდგიმირის ხორცს შეიქცევა. ოჯახის არა წევრთ დოდგიმირის ხორცი არ ეჭმევა, ნარჩენ ძვლებს ცეცხლში სწვავენ ან მიწაში მარხავენ, რომ რამემ არ დასუნოსო.

ამ სალოცავს ხალხური თქმულება მარტვილის წილა მუხას უკავშირებს.

ძველად, როდესაც მეგრელები მარტვილის მუხას თაყვან-სა სცემდენ, მას მსხვერპლად თურმე ლორებს წირავდენ. და-კლულ ლორს სხვა სანოვაგესთან ერთად შიგ მუხაში შესდგამ-დენ და ამიტომ თვით სალოცავსაც „დოდგიმირი“ ეწოდა.

მაგრამ მას შემდეგ, რაც ანდრია მოციქულმა ეს წმ. მუხა მოაკრევინა, აღნიშხული სალოცავიც ხალხმა თა-ვიანთ ოჯახებში გადაიტანესო.

ამ თქმულებიდან ირკვევა, რომ ლორი მუხის ღვთაე-ბისადმი ყოფილა შეწირული. ამიტომ, შესაძლებელია ვი-ფიქროთ, რომ წარმართულ საქართველოში ლორი, რო-გორც წმ. მუხის ნაყოფით მსახრდოებელი ცხოველი მორ-წმუნეთა შორის ითვლებოდა, ერთგვარ „ტაბუ“-თ ე. ი. ღვთისაგან აკრძალულათ, როგორც, მაგალითად, დღევან-დელ ფშავ-ხევსურეთში, სადაც ლორის ხორცის ჭამა ხა-ტისაგან აკრძალულია. მხოლოდ ქურუმებს თუ შესაძლოთ ლორის მსხვერპლად შეწირვისას მისი ზოგიერთი ნაწილე-ბის მირთმევა.

მაგრამ ქრისტიანობის გავრცელებისას შრავალი წარ-მართული წესების შეცვლასთან ერთად ლორზე და სხვა ცხოველებზედაც დადებული „ტაბუ“ თანდათანობით მოის-პო და მათი ხორცის ჭამაც გაქრისტიანებულ მორწმუნეთა შორის ნებადართული შეიქმნა.

ამას, სხვათაშორის, მოწმობს ჩვენში დარჩენილი ერთი თქმულება ლორისა და წმიდა ბასილის შესახებ: „ერთხელ



თურმე წმიდა ბასილი წირვაძ იდგა და იმ დროს მას ლორმა ახლო გაურბინა, ლორს მუცელში ეშმაკი ჰყავდა და იმის ხორცი არ იჭმებოდა. წმ. ბასილი ხელში ჯვრით ლორს გამოეკიდა და სწორედ იმ დროს მოეწია, როდე-საც ლორი წყალში გადახტომას აპირებდა. წმ. ბასილმა მოასწრო და კუდზე ფეხი დააბჯინა. იმავ წამში ეშმაკი ლორიდან გამოხტა და წყალში გადავარდა. მაშინ ბა-სილმა ლორი აკურთხა და საჭმელად გავვიჩინაო, ამიტომ ლორს კუდის ბოლო გაბრტყელებული აქვსო<sup>1</sup>.

ამ თქმულებაში გასაოცარი სინამდვილით გადმოცე-მულია სარწმუნოებრივი ბრძოლის სურათი.

როდესაც ქრისტიანობის მოციქულებმა წლისთავი წმ. ვასილის ხსოვნას დაუკავშირეს, საჭირო შეიქმნა ამ დღე-სასწაულის ყველა წარმართული წესის გადმოქრისტია-ნება. ამიტომ წმიდა ვასილს დაუკავშირეს, როგორც მზის ქანდაკება—ბასილა, აგრეთვე მზის ღვთაების მსხვერ-პლი—ლორი, რომლის „ტაბუ“ თავის ფეხის ერთი დაბი-ჯებით ვასილმა სრულიად მოსპო და მისი ხორცის ჭამაც მორწმუნეთათვის ნებადართული გახადა.

გარდა ამისა, ლორის შესახებ, განსაკუთრებით დასა-ვლეთ საქართველოში, დღესაც დარჩენილია ხალხში ზო-გიერთი ტოტემური შეხედულებანი.

ლორის სვანური სახელწოდება „ყერ“-ს, ნ. მარრი ხალხის სარწმუნოებრივ შემეცნებას უკავშირებს და სვა-ნები ფიცის დროს თურმე ამბობენ: „ლერთემ ყერ-ლო“ რაც ნიშნავს „ვფიცავ ლმერთს სალმრთო ლორით“-ო<sup>2</sup>.

<sup>1</sup> «ნაკადული» 1905 წ. № 111 გვ. 135, «მოამბე» 1897 წ. № 1. გვ. 91.

<sup>2</sup> Н. Марр, Религиозн. веров. абхазцев. Христ. Вост. т. IV вып. I 1915 г. გვ. 132.

ამასთანავე სვანეთში ღორებს თავიანთ მფარველი ლვთაებაც ჰყავთ, რომელსაც ხალხი „ლაპატრა“-ს უწოდებს. მის სალოცავს „მეისარიობა“ ეწოდება და ყოველი ოჯახი მას ღორს წირავს, რომლის ენით და გამომცხვარ კვერებით ლვთაება „ლაპატრა“-ს ღორების გამრავლებას შესთხოვენ<sup>1</sup>.

ამავე ხასიათის სალოცავი, სამეგრელოშიაც ცნობილია, რომელსაც „მირსობა“ ეწოდება და თვალის სალობისათვის იხდიან.

მირსობას მსხვერპლად ღორს წირავენ და ლვთაება „მირსა“-ს, როგორც სინათლის ლვთაებას, თვალის სინათლეს და გამჭრიახობას შესთხოვენ<sup>2</sup>.

ამას გარდა, სამეგრელოში, თითქმის ყველა სალოცავს, განსაკუთრებით ოჯახის კერასთან დაკავშირებულს, ღორით ან გოჭით იხდიან.

ღორის სალოცავი რაჭაშიაც იციან ბოსლობის წინადღით და „ბავშვების პირის ურწყობა“ ეწოდება, რომელშიაც დიასახლისის მეთაურობით განსაკუთრებულ მონაწილეობას ბავშვები იღებენ.

ამ დღეს ყველანი ანთებულ სანთლებით, ხის ტოტებით, კვერებით და ხელადა ლვინით სალორესაკენ გაემართებიან, სადაც დიასახლისი ლოცულობს და ლვთაებას ღორების გამრავლებას შესთხოვს. შემდეგ კვერებს იქვე მიირთმევს<sup>3</sup>.

<sup>1</sup> Р. Эристов, Заметки о Сванетии, Тиф. 1898 г. გვ. 94.

<sup>2</sup> И. Кобалия, Из Мифической Колхиды, Сбор. мат. для опис. мест. и племен Кавказа, вып. ххх, отд. iii. გვ. 98.

სალოცავი მირსობა თავისი რიტუალობით მზის და სინათლის ლვთაების მითობას რწმენის ნაშთს წარმოადგენს.

<sup>3</sup> Г. Джапаридзе. Сб. мат. вып. XXI გვ. 112.

აფხაზეთში კი ზოგიერთი ოჯახები გოჭის სამჭედლოს ღვთაებას წირავენ და ვინც ლორის ხორცს არა სკამს ის ხორცის ნაკერს ქალალდში შეახვევს სამჯერ გალეჭავს და შემდეგ გამოაფურთხებს.

იმერეთში ზოგიერთ ავაღმყოფობის დროს ღვთაებას გოჭის ზვარაკს შეუთქვამენ, რომელსაც უდაბურ ალაგას უშვებენ.

გარდა ამისა, რაჭაში „ჭია-კოკონობას“ ბავშვები ცეკვებლს უვლიან და თან მღერიან: „ჩვენ ქალებს ტახის-თვი, სხვის ქალებს ვირის თავიო“.

ამასთანავე ალსანიშნავია, რომ ლორის კულტი თვით ქართულ ბერიკობაშიაც შეტანილია, სადაც ერთ ერთს მონაწილეთაგანს პირზე ლორის ნილაბი ქვს გაკეთებული და ტანზე მისი ჯაგრიანი ტყავი წამოსხმული<sup>1</sup> და სხვა.

აგრეთვე ჩვენში არსებობს სათამაშო „ლორობანა“<sup>2</sup> და სხვა.

უნდა აღნიშნოთ, რომ თვით ფშავშიაც, სადაც მორწმუნებს ღვთაება კოპალა და იახსარისაგან ლორის ხორცის ჭამა აკრძალული აქვთ სწამთ, რომ ლორი ეშმაკის მტერია და სადაც მას შეხვდება შესჭამსო. ამიტომ იქ ლორის კბილებს და ჯაგრის კონებს, როგორც თილისმას აკვანზე ჰკიდებენ, რომ ამით აკვანში მწოლარე ბავშვი ავთვალისაგან დაიფარონ.

ლორის კულტის შესახებ აქ მოყვანილი რიტუალური წესები ჩვენ ვაკიარნახებენ ვიფიქროთ, რომ შესაძლებელია თავდაპირველად ეს ცხოველი ოჯახის კერის კულტთანაც ყოფილიყო დაკავშირებული, რომელიც, საზოგადოდ, წინაპართა მამამთავრის სულის საჟგომად ითვლებოდა და ლორი კი მისი სულის მატარებლად.

<sup>1</sup> უურ. „კვალი“ 1893 წ. № 5.

<sup>2</sup> უურ. „ნაკადული“ 1904 წ. № 4.

ამის შესაძლებლობას, სხვათა შორის, ისიც მოწმობს, რომ ჩვენში ღორის ზეარავი და მისი სალოცვები უმეტეს შემთხვევებში ოჯახის კერასთან არიან დაკავშირებული. მაგალითად, როგორც ჩვენ აღნიშნეთ, სალოცვი დოდგიმირის ღორის სისხლს ზედ კერაზე ლრვიან, თვით სალოცვასაც კერასთან ასრულებენ, რომლის გულ-ლვიძლს ოჯახის უფროსი იქვე მიირთმევს.

ამგვარი ჩვეულება სხვაგანაც იყო გავრცელებული, რადგანაც ხალხის რწმენით წინაპრის სული მსხვერპლის გულ-ლვიძლში და განსაკუთრებით მის სისხლში სადგურებდა.

ცხოველების და მცენარეების ტოტემური რწმენა ახასიათებდა საზოგადოდ ადამიანის პრიმიტიულ რელიგიას და, რასაკეირველია, ჩვენი წინაპრებიც სარწმუნოებრივი განვითარების ამ საფეხურს ვერ ასცდებოდნ. მაგრამ, მიუხედავათ იმისა, რომ ამგვარ რწმენის ნაშთები ქართველ ხალხში დღესაც მოიპოვებიან, სამწუხაროთ ამ მხრივ საქართველოს კუთხები სრულიად შეუსწავლელია და ამიტომ ამ საკითხის შესახებ რაიმე დასაბუთებული აზრის გამოთქმა ჯერ-ჯერობით მეტად ძნელია.

შესაძლებელია მხოლოდ ვითიქროთ, რომ პრიმიტიულ რწმენის საფეხურზე, თვითეულ ქართველ ტომს თავისი საკუთარი ტოტემი ჰყოლოდა, რომელიც „რაბუს“ ქვეშ დაკული იქნებოდა! და თუ რომელიმე ქართველმა ტომმა თავის ტოტემად თავდაპირველად გარეული ტახი ამოირჩია და შემდეგში ის მუხის კულტს დაუკავშირა, რომლის ხეივანში ის ბინადრობდა, დროთა ვითარებაში გამრავლებასთან ერთად შინაურ ღორიად იქცეოდა და მისი ხორ-

<sup>1</sup> j. G. Frazer, Le totémisme, Paris 1889; Prof. Sigmund Freud, Tómem u maby, Москва.

ცის ჭამის აკრძალვაც, სარწმუნოებრივი შემცენების განვითარებასთან, თანდათანობით ნებადართული გახდებოდა.

ქართველი ხალხი დღესაც მრავალ ცხოველთა და ფრინველთა ხორცის არა სჭამის, რომელიც გამოწვეულია არა მათი ხორცის უგემურობით თუ მავნებლობით, არამედ მით, რომ მათთან ხალხის რაიმე რწმენაა დაკავშირებული, რომელთა შინაარსი დღეს თითქმის მივიწყებულია, მაგრამ მათ შეკრებას და შესწავლას შეუძლია გააშუქოს ჩვენ წინაპართა პრიმიტიული რწმენის სამყარო.

ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ 1924 წელს დაიბეჭდა ლევან ლეონიძის გამოკვლევა „მელორეობა“, სადაც ავტორი გაკვრით ეხება საქართველოში ლორის კულტის არსებობასაც.

ამ საკითხის გასაშუქებლად მას, სხვათა შორის, ზემო აღნიშნული ჩვენი მოსაზრებანიც აქვს ჩართული<sup>1</sup>. რომელსაც ის საზოგადოდ იზიარებს, მხოლოდ უარყოფს რომელიმე სარწმუნოებრივი მოძღვრების ზეგავლენას ლორის ხორცის ჭამის ნებართვა თუ აკრძალვაზე. ლ. ლეონიძის აზრით: „ლორის ჭამის აკრძალვა საქართველოში მოსპონ სოფლის მეურნეობის პირობების შეცვლამ და არა ქრისტიანობამ“-ი (მელორეობა გვ. 201.).

ამგვარი მსჯელობა ამ საკითხის შესახებ ცალმხრივი და შცდარია. რომ ამ შემთხვევაში სარწმუნოებრივი ზეგავლენა უფრო მტკიცეა, ვიდრე ეკონომიკური პირობების ცვალებადობა ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენენ ებრაელები და საზოგადოდ მაჰმადიანები.

<sup>1</sup> ჩვენი გამოკვლევა „ახალწელიწადი საქართველოში“ მოხსენების სახით წაკითხული იყო 1923 წ. 17 დეკემბერს საქ. საისტ. და საეთნოგრაფიო საზოგად. სხდომაზე.

საქართველოშიაც მობინადრე ებრაელები და მაჰმადიანებიც მიუხედავად იმისა, რომ ისეთივე ზომიერ ჰაერიან და მუხა-წიფლით მდიდარ ქვეყანაში სცხოვრობენ, როგორც ჩვენ ქართველები, მაგრამ არც მელორეობას მისდევენ და არც ღორის ხორცს სჭამენ.

ეს გარემოება აიხსნება არა იმით, რომ მათ არ ესმოდეთ მელორეობის ეკონომიური მნიშვნელობა ან ამას ხელს არ უწყობდეს ადგილობრივი ბუნების პირობები, არამედ სარწმუნოებრივი მოსაზრებებით, რომლებსაც მათივე საღმრთო წერილი უკრძალავს ღორის ხორცის ჭამას.

მაგალითისთვის, ავიღოთ თუ ჯნებავთ, თვით ქართველ ტომებიც. ქრისტიანი აფხაზები ღორის სჭამენ, მათივე გამაჰმადიანებული ძმები კი ამ ცხოველს ახლოს არ იკარებენ.

აგრეთვე გამაჰმადიანებული აჭარელი ქართველობაც, სანამ ქრისტიანები იყვნენ, რასაკვირველია, მელორეობას მისდევდენ და ღორის ხორცსაც სჭამდენ, მაგრამ მათ გამაჰმადიანების შემდევ ღორის ჭამა აეკრძალათ. არის წინააღმდევი შემთხვევებიც, მაგალითად, თუ მაჰმადიანი ქრისტიანდება ის ღორის ხორცსაც თავისუფლად შეიქცევა.

რაც შეეხება ფშავ-ხევსურებს, რომლებიც ღორის ხორცს არ სჭამენ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ისინი მოჩვენებით არიან გაქრისტიანებულნი სინაშდვილეში ისევ წარმართებად დარჩენილები, რასაც მათივე ხატობა-დღეობები მოწმობენ.

მაგრამ ღორის ჭამას მათ მაინც ხატი უკრძალავს და არა რაიმე ეკონომიური თუ ბუნების პირობები. მით უმეტეს რომ, თუ მახლობელ სოფ. უინვანში ღორების ჯოგებია, ნუ თუ მაღაროსკარელ ფშაველს არ შეუძლია ერთი ღორიც იყოლიოს, სადაც ტყეში მუხა ბლომად იზრდება?



რასაკვირველია, შეუძლია, მაგრამ მათივე თქმით ამას მათ  
ხატი უკრძალავს.

ზემოაღნიშნულ მაგალითებიდან ნათლად ირკვევა, რომ  
სარწმუნოებას ამ მხრივ დღემდე თავისი ძლიერი გავლენა  
შეუნარჩუნებია და, რასაკვირველია, მასვე შეეძლო ზოგი-  
ერთ ცხოველებზე ამგვარი აკრძალვა მოეხსნა.

ქრისტიანობაშ სწორედ ამგვარი როლი ითამაშა, რო-  
მელიც ამ მხრივ მორწმუნებს სრულ თავისუფლებას  
ანიჭებდა და საყიველთაოდ ქადაგებდა „არა თუ პირით  
შემავლი შეაგინებს კაცსა, არამედ პირით გამომავალი  
შეაგინებს კაცსა„-თ (მათე 15,18).

ერთი სიტყვით, ლორი სარწმუნოებრივ თვალსაზრისით  
წარმოადგენდა ერთვარ „tabu“ს, რომელიც დღესაც და-  
ცულია სხვათა შორის ებრაელებში და მაჰმადიანობაში.

მხოლოდ ქრისტიანებშია ლორის კამა ნებადართული,  
რაც უნდა აიხსნებოდეს ქრისტიანულ მოძღვრების ზეგავ-  
ლენით და სარწმუნოებრივი შემეცნების თანდათანობითი  
განვითარებით და არა რაიმე ეკონომიკური მოსაზრებებით.

ქართულ ახალწლის დღესასწაულში განსაკუთრებულ  
ყურადღებას იპყრობს სახლის მეკვლე ოჯახის კერასთან  
დაკავშირებულ რიტუალობით.

ამ მხრივ ქართველი მეკვლე მეტად წააგავს წარ-  
მართულ დროის ქურუმს და ახალწლის კერა კი მის ყმ.  
საშისეეროლოს.

ოჯახის კერის თაყვანისცემა, როგორც მამამთავრის  
სულის სადგომის, ყველგან გავრცელებული იყო, რომლის  
რიტუალის ასრულება ოჯახის მამასახლისს ეკისრებოდა.

კერის და მასთან დაკავშირებით ოჯახის მამამთავრის  
თაყვანისცემის ნაშთები საქართველოშიაც მოიპოვება<sup>1</sup>,

<sup>1</sup> ს ერგი მაკალათია, საზოგადოებრივ ფორმათა განვითა-  
რების ისტორია, ტფილ. 1926 წ. გვ. 79—114,

რომელიც, სხვათა შორის, კარგად დაცულია ახალწლის მიგებების წესებში.

მაგალითად, ქართველ მეკვლეს მიერ საახალწლო ტაბლის კერის გარშემო შემოტარება და ლოცვა, შერჩეულ ფიჩებით ცეცხლის ჩუმად ანთება, მუგზლის შეჩინჩხლით ლოცვა, მომავალზე წინასწარმეტყველება და სხვა - კერის კულტის ნაშთია. თვით მეკვლეც, როგორც აღვნიშნეთ, ოჯახის ქურუმია. მას ირჩევენ ოჯახის უხუცესისაგან, რომლის მოვალეობას შეადგენს საახალწლო ღორის დაკვლა, თესვით და დანამვით დალოცვა, მომავალზე წინასწარმეტყველება და სხვა.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ახალწლის ზოგიერთ წესებს ერთგვარი ნათესაური კავშირი აქვთ სპარსულ ნავრუზის წესებთან, რომლის შესახებ ამ რამოდენიმე წლის წინეთ ა. ხახანაშვილ მა<sup>1</sup> და კ. ინოსტრანცევმა<sup>2</sup> გაკვრით აღნიშნეს.

რომ მათ შორის მსგავსება — განსხვავება უფრო სრული და თვალსაჩინო იყოს, ჩვენ აქ მოვიყვანთ სპარსულ ნავრუზობის სრულ აღწერას, რომელიც მოიპოვება არაბთა ისტორიკოსის ახმედ ალ ბირუნის და კისავრის მე-Х საუკუნის თხზულებებში<sup>3</sup>.

როგორც ამ ისტორიკოსების ნავრუზობის აღწერიდან ჩანს, ძველ სპარსეთში ახალწელიშადს 9 მარტს ეგებებოდენ.

ამ დღეს მეფეს პირველად მისი უსაყვარლესი ხელისუფალთაგანი უკვლევდა, რომელიც სხვებისაგან თავისი

<sup>1</sup> ურ. „განათლება“ 1910 წ. № IV, გვ. 199.

<sup>2</sup> К. Иностраницев, Древнейшая арабская известия о празднов. Науруза в Сасанидской Персии. Сасанидские этюды, 1910 г.

<sup>3</sup> К. Иностраницев, op. cit., გვ. 87—109.

სიბრძნით და გონებამახვილობით განირჩეოდა. მეკვლე დარბაზის კარებში დადგებოდა და მეფეს შინ შესვლის ნებართვას სთხოვდა. მეფე მას ჰქითხავდა, ვინ ხარ შენ? საიდან მოდიხარ? და სად მიდიხარ?, შენთან ვინ მოდის? ამაზე მეკვლე მეფეს უპასუხებდა: „მომაქვს ბედნიერება, ჩვენთან მოდის გამარჯვება და ახალი წელი... შემდეგ მეფე ბრძანებდა, შეცოდი. მეკვლე შემოვიდოდა და მეფეს წინ დაუდგამდა ვერცხლის მაგიდას, რომელზედაც ელაგა შვიდი სხვა და სხვა ჯიშის პურეულისაგან გამომცხვარი კვერი და მარცვლები, ზედ ეწყო მცენარეთა ტოტები და ვერცხლის შვიდი ჯამი იმავე წელს შოჭრილი ოქრო-ვერცხლის ფულებით.

პირველად მეფეს „დასაბერებლად“ ვერცხლის ლანგარდით შაქარს და ქოქოსის კაკალს მიართმევდნენ. მეფე კაკალს მიირთმევდა და ნაჭუჭს მის საყვარელ მოხელეს გადასცემდა.

ნავრუზობის პირველ დღეს მეფე არაეისთან ბჭობდა, რომ მისგან არაეის ცუდი არ შემთხვეოდა. ამასთანავე ყოველდღე მეფე თეთრ მიმინოს სანადიროთ უშვებდა და ახალგაზრდა ქალებს მისთვის წისქვილის თხრილებიდან ჩუმად წყალი მოჰქონდათ.

ნავრუზობის პირველ დღეს მოისართა უხუცესი მეფეს სამ შვილდს და ხუთ ისარს მიართმევდა.

ნავრუზობა გრძელდებოდა თითქმის ერთი თვე და გაყოფილი იყო ექვს ნაწილად. თითეულ დღეს ექვსეულისას თავისი დანიშნულება ჰქონდა.

პირველ დღეს მეფე ნავრუზობის დღესასწაულს გახსნიდა, დაიწყებოდა დარბაზობა და საახალწლო მოლოცვები.

მეორე დღეს მეფეს პირველად ულოცავდენ ვასალურ საერისთავოს წარმომადგენელნი და შემდეგ დიდგვარიანი მემამულენი.

მესამე დღეს სპასალარნი და უმაღლეს სასულიერო პირთა წარმომადგენელნი.

მეოთხე დღეს—მეფის სახლეული, ნათესავობა და სა- მეფო ამალა.

მეხუთე დღეს მეფეს ულოცავდენ მისი შვილები და ყმები.

მექვსე დღეს მეფე ისვენებდა და მირთმეულ ძლვნებს სინჯავდა. ამავე დღეს ვერცხლის სინზე მოთავსებულ სა- თესლე მარცვლებს სასახლის ყველა ოთახებში სთესავდნენ და შემდეგ მუსიკით და სიმღერით ისევ აკრეფდენ და ამისათვის წინასწარ გამზადებულ თორმეტ სვეტზე სთესავ- დენ. მეფე კი ყოველდღე ამ ნათესის ამოსვლას უმშერდა და იმის მიხედვით მომავალზე წინასწარმეტყველებდა.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ სპარსული ნავრუზობის სადღესასწაულო წესები საუცხოვო ხელოვნებით გალეჭისი- ლია შოთა რუსთველის მიერ თავის უკვდავ პოემაში. (ვეფხის ტყაოსანი, აბულაძის გამოცემა, ტაეპი № 1052, 1053)

ახლა ჩვენ თუ სპარსულ და ქართულ სამეფო კარის ახალწლის მიგებების წესებს ერთმანეთს შევადარებთ მათ შორის ზოგიერთ საგულისხმიერო მსგავსებას აღმოვაჩინთ.

მაგალითად, ორივე სამეფოს კარზე ახალწელიწადს მეფეს მისი უსაყვარლესი ხელისუფალი პირველად ულო- ცავდა და ტკბილეულით „აბერებდა“. საახალწლო ნობა- თის და ძლვნების მირთმევის წესებიც ორივე სამეფოში თითქმის ერთიდაიგივე ხასიათისანი იყვნენ.

აგრეთვე საახალწლო გასართობებიც: ნაღირობა, ასპა- რეზობა, ბურთაობა, სიმღერა-თამაშობანი და სხვა, საქა-

როველოს და სპარსეთის სამეფო ქარზე ერთგვარად მიღებული იყო.

მაგრამ ქართულ-სპარსული ახალწლის წესების ნათე-საობის გასარკვევად, რასაკვირველია, არ კმარა მხოლოდ სამეფო ქარის საახალწლო რიტუალის შესწავლა, არამედ საჭიროა და უფრო მნიშვნელოვანიცაა ამ ორივე კუთხის ხალხური ახალწლის მიგებების წესების შედარებითი შესწავლა, რასაც ჩვენ სამწუხაროთ ჯერჯერობით სრულიად მოკლებული ვართ.

ჩვენის აზრით, ქართულ-სპარსული ახალწლის წესების ზოგიერთი მსგავსებანი არ უნდა აიხსნებოდეს ერთის მეორისაგან პირდაპირი გადმოღებით და შეთვისებით. ან სპარსული მაზდეანური რწმენის ზეგავლენით. რადგანაც ქართულ კალანდა — აბრამიანის არსებითი და მნიშვნელოვანი ობიექტები: ჩიჩილაჟი, ბასილა, ლორის თავი და სხვა მათივე დამახასიათებელი რიტუალით სრულებით არ ახასიათებენ სპარსულ ნაკრუზს და საზოგადოდ მაზდეანობას. მხოლოდ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ქართული ახალწლის და სპარსული ნაკრუზის ამგვარ მსგავსებას ფესვები გადგმული ჰქონდეს ძველი აღმოსავლეთის მზის ლვთაების კულტში, რასაც, რასაკვირველია, სათანადო შესწავლა და გარკვევა სჭირია.

**კ**ერთი სიტყვით, ქართული ახალწლის მიგებების წესებში მთელის თავის რიტუალობით მოცემულია მზის ლვთაების თაყვანისცემის ერთ ერთი სადღესასწაულო მომენტთაგანი, რომელიც დაკავშირებული იყო მის ყოველწლიურ დაბადების და გამარჯვების რწმენასთან.

მაგრამ იმის გადაჭრით თქმა და მტკიცება, თუ რა არის მასში წმიდა ქართული ან სხვებისაგან გადმოღებული და შეთვისებული ჯერ-ჯერობით მეტად ძნელია,

ვიდრე ამ დღესასწაულის და მასთან დაკავშირებით ჩვენში არსებული მზის კულტის კველა წესები შეკრებილი და მეცნიერულად გაშუქებული არ იქნება.

მართალია, ჩვენ წინაპართა ამგვარი შემოქმედების სალმრთო წერილებს ჩვენამდე არ მოულწევიათ, მაგრამ ვათ მიერ განცდილი რწმენის უძველესი ხაშთები ქართველ ხალხში დღემდე დაცულია.

განსაკუთრებით ეს ითქმის ახალწლის დღესასწაულზე, სადაც მზის ლეთაების ქართული რწმენა გადმოცემულია მთელი თავისი რიტუალობით.

**ଓৱেন ৩০ ১৯৬৩.**



Digitized by  
Digitized by

